

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა

სოფიკო გოგუაძე



მშობელსა და შვილს შორის სამართლებრივი ურთიერთობის  
ზოგიერთი ასპექტი

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

**ხელმძღვანელი:** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი: ლევან დუნდუა

თბილისი

2019

## ანოტაცია

ჩემს სამაგისტრო ნაშრომში განვიხილავ თემას: „მშობელსა და შვილს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი“.

სხვადასხვა თავისებურებებით განხორციელდა მშობლისა და შვილის ურთიერთობა ძველ ქართულ სამართალში, რომლის წარმოშობის ისტორიას განვიხილავთ ნაშრომში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლიდან დღემდე მშობლებისა და შვილების ინსტიტუტის სამართლებრივმა მდგომარეობამ ცვლილებები განიცადა, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირების კვალდაკვალ, საჭირო გახდა შესაბამისობაში მოგვეყვანა შიდა საკანონმდებლო ნორმები.

მშობლების მოვალეობების განსაზღვრა მშობლებისა და შვილების სამართლებრივ ურთიერთობებში ეს ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რომელიც საჭიროებს კვლევას, რათა ნათელი გახდეს არსებული პრობლემები. აღმასრულებელი ხელისუფლების როლი, უმნიშვნელოვანესია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და გაჯანსაღებაში. სასამართლოს რეალური ქეისების საფუძველზე, სიღრმისეულად შევძლებთ შევისწავლოთ ბავშვის უფლებების საკითხი, გავანალიზოთ არსებული პრობლემები და მისი მოგვარების გზები ვეძებოთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უცხო ქვეყნის კანონმდებლობასთან შედარებით - სამართლებრივი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, სტატისტიკური მონაცემების მოშველიებითა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, ასევე არსებული პრობლემების შეჯამებით შევიმუშავებ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართული იქნება პრაქტიკული და თეორიული პრობლემების გამოსწორების გზების ძიებისაკენ.

**Sopiko Gogvadze**

**Some aspects of the legal relations between parent and child**

**Abstract**

In my master's thesis, I will discuss the topic: Some aspects of the legal relations between parent and child. The parental and child relationship was implemented with the different peculiarities in the ancient Georgian law, which history of origin is discussed in the research. Since the entry into force of the Civil Code of Georgia, the legal status of the Institute of Parents and Children has undergone changes, following the ratification of international treaties and agreements, it has become necessary to bring internal legislation in correspondence with them. Determining the Parental Duties In legal relations of parents and children is one of the key issues that need research in order to clear the existing problems. The role of the executive government is crucial in protecting and improving the best interests of the child. On the basis of real court cases, we will be able to study the issue of children rights, to analyze existing problems and to find ways to solve them. Based on the abovementioned, with comparison to the laws of a foreign country – using legal analysis method, statistical data and judicial decisions, as well as the summary of the existing problems I will elaborate recommendations, which will be aimed at finding ways to improve the practical and theoretical problems.

**ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები:**

იხ.	იხილე
რედ.	რედაქტორი
სსკ.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სკ.	სამოქალაქო კოდექსი
გსკ.	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
შეად.	შეადარე
CRC	Convention on the Rights of the Child (ბავშვის უფლებათა კონვენცია)
ISFL	International Society of Family Law (საოჯახო სამართლის საერთაშორისო საზოგადოება)
ENOC	European Network of Commissioners for Children (ბავშვთა წარმომადგენლობის ევროპული გაერთიანება)

## სარჩევი

შესავალი .....	- 6 -
თავი I. ისტორიული მიმოხილვა.....	- 12 -
1.1. რომის სამართლის მიმოხილვა.....	- 12 -
1.2. მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და განავითარება ქართული სამართლის მიხედვით.....	- 15 -
თავი II. მშობლების მოვალეობის განსაზღვრა მშობლებისა და შვილების სამართლებრივ ურთიერთობებში.....	- 18 -
2.1. მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლები .....	- 18 -
2.2. (ქონებრივი) საალიმენტო ურთიერთობის შინაარსი .....	- 24 -
2.3. ბავშვის საუკეთესო ინტერესები.....	- 31 -
თავი III. მშობლებისა და შვილების პირადი უფლებები და მოვალეობები.....	- 42 -
3.1. სახელის უფლება.....	- 42 -
3.2. მშობლების მიერ ბავშვის აღზრდის უფლება-მოვალეობა.....	- 45 -
3.3. ბავშვის ინტერესების დაცვა წარმომადგენლობის მეშვეობით.....	- 51 -
დასკვნა .....	- 57 -
გამოყენებული ლიტერატურა: .....	- 62 -

## შესავალი

„ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა” (ი. ჭავჭავაძე) მშობლების ვალდებულებაა დაიცვას მათი არასრულწლოვანი შვილები და იზრუნონ მათ განვითარებაზე. მშობლები ვალდებულნი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, ისე რომ იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, რათა აღზარდონ საზოგადოების ღირსეულ წევრებად. შვილების აღზრდის პროცესში მათი ინტერესები უპირატესად უნდა იქნეს გათვალისწინებული. მე-20 საუკუნის ბოლოდან უკვე აქტუალური გახდა ადამიანის უფლებათა სამართალი და დღესდღეობით ერთ-ერთ პირველ საკითხად მსოფლიო დღის წესრიგში დგას, ადამიანის და უმნიშვნელოვანესად ბავშვთა უფლებებათა დაცვა. თანამედროვე საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემა მეტად აქტუალური გახდა, მით უმეტეს, იმ პირობებში როდესაც მსოფლიოს თითქმის ყველა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო ადამიანის უფლებების დაცვას უმთავრეს პრიორიტეტად და ევროინტეგრაციის პროცესში ქვეყნის წარმატების განმსაზღვრელად მიიჩნევს.

შექმნილია არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა ძირითადი ამოცანა და მიზანი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბავშვთა უფლებების დაცვა, მათზე ზრუნვა და მათი მდგომარეობის გაჯანსაღებაა, როგორც მატერიალური, ასევე სამართლებრივი კუთხით. საქართველოს სახელმწიფო არის ადამიანის უფლებების შესახებ, თითქმის ყველა საერთაშორისო აქტის მონაწილე. საქართველოს კონსტიტუციაში ასახულია უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც მიემართება ადამიანის უფლებათა დაცვასა და უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ნაშრომში ძირითად პრობლემად იკვეთება საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის ერთი ძირითადი სახე – მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობების განხილვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებისა და შიდა კანონმდებლობის ფონზე. აღნიშნული საკითხის ირგვლივ მსჯელობისას, უმნიშვნელოვანესია გაეროს ბავშვთა ფონდი

(იუნისეფი), რომელიც 20 წელზე მეტია ეხმარება საქართველოს მთავრობას ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. 1989 წლის ბავშვთა უფლებების კონვენციას საქართველო 1994 წელს შეუერთდა და იკისრა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. რასაც იმ დღიდან მოყოლებული განუხრელად ცდილობს, რაც გამოიხატება როგორც ნორმატიულ დონეზე საკითხის განმტკიცებაში, ასევე პრაქტიკული კუთხითაც. სასამართლოები აქტიურად მუშაობენ, ბავშვთა უფლებების კუთხით საკითხის გადაწყვეტისას ფაქიზი მიდგომა გამოავლინონ. რათა, მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბავშვები მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნებიან, გამომდინარე აქედან, უმნიშვნელოვანესია იმ ფაქიზი ზღვარის განუხრელად დაცვა, რომელიც ბავშვთა უფლებებზე გადის. მშობლის როლი ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში უმნიშვნელოვანესია, ამიტომ უპირველესად მშობელს ხელეწიფება ბავშვს მისცეს ყველა ის საჭიროება, რაც მისი საზოგადოებაში რეალიზებისათვის იქნება აუცილებელი. აღნიშნული მოიცავს, განათლების მიცემის ვალდებულებას, სოციალურ საჭიროებებსა და ა.შ. რადგან, ბავშვთა, როგორც მოწყვლად კატეგორიათა, დაცვის ვალდებულებაცა და უფლებაც მშობელს მიემართება, სწორედ ასევე მათი მხრიდან არსებობს საშიშროება ბავშვის, კონსტიტუციითა და კონვენციით გათვალისწინებული, უფლებების დარღვევისა. სწორედ ამიტომაც, სახელმწიფომ იკისრა პოზიტიური ვალდებულება, როდესაც ამის საჭიროება იარსებებს, შესაბამისი ორგანოების დახმარებით მოახდინოს პრევენცია ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტის, მდგომარეობის შესაბამისად აღკვეთოს გამოვლენილი სიტუაცია და იზრუნოს ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე.

კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, მიუთითებს, რომ ბავშვს აქვს უფლება, საკუთარი აზრი გააჩნდეს და გამოხატოს მის ირგვლივ არსებულ ვითარებაზე, როგორც ოჯახში ასევე საზოგადოებაში, რომელიც უშუალოდ მის ინტერესებს ეხება. თანამედროვე მსოფლიო აღიარებს, რომ „მთავარი ასპექტი ბავშვის, როგორც უფლების მფლობელისა, არის ის, რომ ვიდაცას ამ დროს აქვს

მოვალეობა, პატივი სცეს სხვის უფლებას.<sup>1</sup> ბავშვთა აზრის გათვალისწინებასა და მათი უფლებების/აზრების პრიორიტეტულობაზე მიუთითებს, სწორედ ის, რომ ევროპის ბავშვთა უფლებების კომიტეტი მიუთითებს სახელმწიფოებს, დანერგონ „ბავშვთა ომბუდსმენის ინსტიტუტი“. „ომბუდსმენი გახდა იმ პირის ან ორგანოს მნიშვნელობის განსაზღვრისათვის ცნება, რომელიც იცავს პირის ან ინდივიდთა ჯგუფის ინტერესებს, მოქმედებს მათი სახელით და ქმნის უკეთეს პირობებს მათი ინტერესების შესაბამისად“.<sup>2</sup>

ბავშვის მიმართ მშობლების უფლებების და ვალდებულებების სწორად გაგებისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს უმთავრესად, რომ მნიშვნელოვანია მშობლის უფლებები, მაგრამ აღმატებულია ბავშვის ინტერესების უპირატესი გათვალისწინების უფლება, აღნიშნული შეიძლება ითქვას წარმოადგენს მთავარ ღერძს მშობლების უფლებებისა და მოვალეობების მიმართ. იმ დროს როცა მშობლის უფლებები შეიძლება „დაჩრდილოს“ ბავშვის უპირატესმა უფლებებმა, მშობლის "ვალდებულებები" ბავშვის მიმართ განაგრძობს არსებობას. ჩვენს რეალობაში ხშირია შემთხვევები ბავშვთა უფლებების დარღვევებისა, როგორც მშობლების, ასევე სოციუმის მხრიდან. შესაბამისად საჭიროა, როდესაც ბავშვზე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა ხდება, მშობლების მხრიდან შესაბამისად მოხდეს აღკვეთა, ხოლო როდესაც მოძალადე თავად მშობელია, აქ უკვე სახელმწიფო თავისი პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, ახორციელებს ჩარევას. ბოლო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების სამართლებრივ საკითხს. დაუშვებელია არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდისას მშობლის მიერ ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც მის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს. ჩვენს რეალობაში აქტუალურია ბავშვთა დაცვის საკითხი ნებისმიერი და მათ შორის საოჯახო ძალადობისაგან. ვინაიდან კანონი, ბავშვის ინტერესების დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, იგი ითვალისწინებს

---

<sup>1</sup> *Doek J. E.*, What Does the Children's Convention Require? (Professor of Law, Vrije Universiteit in Amsterdam, and Chairperson of the U.N. Committee on The Rights of the Child), Spring, 20 Emory Int'l L, 2006, 202, <<http://www.law.emory.edu/fileadmin/journals/eilr/20/20.1/Doek.pdf>>, [24.02.14].

<sup>2</sup> *Flekkoy M. G.*, The Childrens Ombudsman as an Implementor of Childrens Rights, 1996, 353, 355. [www.docstoc.com/docs/64785967/California-Relators-Association](http://www.docstoc.com/docs/64785967/California-Relators-Association), <[ouralexander.org/vaccines.doc](http://ouralexander.org/vaccines.doc)> [24.02.14].



გარკვეულ ზომებს იმ მშობლების წინააღმდეგ რომლებიც სათანადოდ არ ზრუნავენ ბავშვის რჩენასა და აღზრდაზე. მაშინ როდესაც, მშობელი უკვე ვეღარ ან აღარ ასრულებს მის ჭეშმარიტ მოვალეობას, აღზარდოს შვილი და იზრუნოს მისი ინტერესებისათვის, ან უარესი, იგი უბიძგებს არასრულწლოვანს ჩაებას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, სასამართლოს შეუძლია, თუ იგი დაადგენს აღნიშნულ ფაქტს, მდგომარეობის აღსაკვეთად მოახდინოს მშობლის უფლებების ჩამორთმევა/შეზღუდვა. მშობლის უფლების ჩამორთმევა არის უკიდურესი ზომა და ყველაზე მძიმე სასჯელი, რაც შეიძლება მშობლის მიმართ იყოს გამოყენებული. სასამართლოს პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც იგი ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე, იყენებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას და ახდენს მშობლის უფლების ჩამორთმევას ან შეზღუდვას.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული სასამართლოს განსახილველ საქმეს წარმოადგენს შემაკავებელი და დამცავი ორდერების მოქმედების პირობებში არასრულწლოვანთა საკითხი. ეს იმ პირობებში, როდესაც დგინდება, რომ მშობელს უკვე აღარ შეუძლია განახორციელოს ბავშვის ჯანსაღი ინტერესების დაცვა, ან პირიქით ზიანს აყენებს მის ფსიქიკას, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია რომ საკითხის გადასაწყვეტად და უპირველესად ბავშვის ინტერესების დასაცავად, საქმეში აქტიურად იყოს ჩართული სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც სოციალური მუშაკის მეშვეობით არასრულწლოვნის ინტერესების დაცვას განახორციელებს. უცხო არ იქნება საზოგადოებისათვის თუ ვიტყვით, რომ როდესაც მშობლებს შორის კონფლიქტი მიმდინარეობს, შვილების ინტერესების უკანა პლანზე გადაინაცვლებს, შესაბამისად არ ხდება ბავშვის ინტერესების გათვალისწინება, რაც რა თქმა უნდა შეიძლება მივიდეს იმ ფატალურ შედეგამდე რასაც ბავშვის, როგორც ინდივიდის არ აღქმა მოხდეს, რაც საგულისხმოა, რომ ცუდად იქნება ასახული ბავშვის ფსიქიკასა და შესაბამისად მის მომავალ ცხოვრებაზე. სამწუხაროა, რომ სასამართლოების განხილვის საგანი, ხშირად ხდება მსგავსი საკითხი. არც თუ

სახარბიელო სტატისტიკა არსებობს ამგვარი საქმეები რიცხოვრივი რაოდენობისა, რაც რა თქმა უნდა ცალსახად დასაგმობია. ამგვარად სასამართლომდე საკითხის მიტანის ფარგლებში, ცალსახაა, რომ ამ დროს მშობლები ვერ ასრულებენ თავიანთ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას, შვილების სწორად აღზრდისა და მათი უპირატესი ინტერესის გათვალისწინებისა. ასეთ შემთხვევაში ბავშვი, როგორც უმნიშვნელოვანესი ფენომენი უკანა პლანზე გადადის და მნიშვნელოვნად ყურადსაღები მშობლების მხრიდან ხდება არსებული კონფლიქტი, რა დროსაც ბავშვის პირადი ინტერესების გათვალისწინება, როგორც წესი ვერ ხერხდება, სწორედ ამიტომაცაა, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოების როლი უმნიშვნელოვანესია.

კვლევისას უმთავრესი მიზანი სწორედ არის ის, რომ გამოიკვეთოს მშობლისა და შვილების ურთიერთობის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული პრობლემები, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების როლი ამ პრობლემების მოგვარებაში. ნორმატიული ბაზის ხარვეზები, საჭიროებს გამოსწორებას და დახვეწას/დეტალიზებას. უმთავრესი პრობლემაა აღმასრულებელი ხელისუფლების ჩართულობა, როდესაც საკითხი ეხება ბავშვის უფლებების საკითხთან დაკავშირებულ არსებულ პრობლემებს. უმნიშვნელოვანესია სწორედ ის, თუ როგორ რეალიზდება ნორმატიული დანაწესი პრაქტიკაში, სწორად აანალიზებენ თუ არა მშობლები თავიანთ ვალდებულებებს შვილების მიმართ და პირიქით? სად გადის ზღვარი მშობლის მოვალეობებსა და უფლებაზე შვილების მიმართ? როდის კვეთს მშობლის უფლებები ბავშვთა უფლებებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სად არის მათი გადაკვეთის ზღვარი? შეპირისპირებისას რომელია უპირატესი? სწორედ ამ და სხვა კითხვებზე პასუხით მივალთ შედეგამდე. თითოეულ აღნიშნულ კითხვაზე დასაბუთებული პასუხის მოძიება, მოგვეცემს შანსს ჩამოვაცალიბოთ მშობლისა და შვილების ურთიერთობასთან დაკავშირებული, არსებულისგან განსხვავებული, გაუმჯობესებული პრაქტიკული რეგულირების სასურველი

ვარიანტი. ასევე ნორმატიული დანაწესების პრაქტიკული რეალიზება აღმოფხვრიდა პრაქტიკაში წარმოჩენილ ღრმა ხარვეზებს და პრობლემებს.

ნაშრომი შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული თავისა და შვიდი ქვეთავისაგან. თითოეული მათგანი ემსახურება იმ წრის შეკვრას, რომელიც, საბოლოოდ, გასცემს პასუხს კითხვებზე თუ რა ფორმებით ვლინდება (უნდა ვლინდებოდეს) პრაქტიკაში ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხი, ისე რომ მშობლის ვალდებულებების და უფლებების შეზღუდვა არ მოხდეს კანონშეუსაბამოდ. აღნიშნული ნაშრომი ასევე მოგცემს შანსს დავინახოთ ის ფაქიზი ხაზი, რომელიც ემსახურება ბალანსს მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაში.

## თავი I. ისტორიული მიმოხილვა.

### 1.1. რომის სამართლის მიმოხილვა.

ქორწინება, რომაული სამართლის მიხედვით, არის ქალისა და მამაკაცის თანასწორი და თავისუფალი კავშირი. ისინი, ოჯახს მოიხსენიებდნენ რომაული ტერმინით „Domus”. რომის საოჯახო სამართლიდან ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები და მასთან დაკავშირებული საკითხები. რომის სამართალი არ იცნობს მშობლების თანასწორუფლებიანობას შვილების მიმართ, რომაულ ოჯახში შვილზე, იქნებოდა ის უცოლშვილო თუ ცოლშვილიანი, ვრცელდებოდა მხოლოდ მამის (და არა დედის) ხელისუფლება.<sup>3</sup> გაიუსის მიხედვით, მამის ხელისუფლების ქვეშ მყოფ შვილს თავისი არაფერი უნდა ჰქონდეს. დროთა განმავლობაში მშობლებისა და შვილების ურთიერთობამ სახე იცვალა და მოგვიანებით, უძველესი რომის სამართლიდან განსხვავებით, მამას უფლება ჰქონდა, მხოლოდ ოჯახში შვილის დასჯისა, რათა იგი აეძულებინა პატივისცემით მოპყრობოდა მშობლებს, ხოლო შვილები თავის მხრივ ვალდებულნი იყვნენ მშობლების მითითება შეესრულებინათ. თანამედროვე რომის სამართალში, მათ უკვე დამოუკიდებლად შეეძლოთ დაქორწინება (მამის ნებართვის გარეშე), რაც ცალსახად ნიშნავდა იმას, რომ „pater familias”-ის მდგომარეობა შემცირდა. „pater familias”-ის მოიცავდა, როგორც ოჯახში დაბადებულ ბავშვებს, ასევე იმ პირებს, რომლებიც „პატერ ფამილიას” ნებასურვილით იყვნენ აღიარებულნი.<sup>4</sup> რომლის სამართლის მიხედვით, ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვები, ითვლებოდნენ კოგნიტურ ნათესაობაში დედასთან, ხოლო დედებს მათზე არ გააჩნდათ მშობლის უფლებები. მხოლოდ „pater familias” ნება იყო, ასეთი ბავშვები იქნებოდნენ თუ არა ჩართულები ოჯახის შემადგენლობებში. „ქორწინების დროს ბავშვები იღებდნენ მამის საზოგადოებრივ მდგომარეობას (lacotio), ხოლო ქორწინების გარეშე ისინი

<sup>3</sup> მეტრეველი ვ. „რომის სამართალი” (საფუძვლები), „მერიდიანი” თბ. 2009. გვ. 104

<sup>4</sup> ლობჯანიძე გ. „რომის სახელმწიფო და სამართალი”, „საქ. საავიაციო უნ - ტის აკადემიური საბჭო”, ქუთაისი. 2009. გვ.68

მხოლოდ დედაზე დამოკიდებული იყვნენ”.<sup>5</sup> ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის სამართლებრივი მდგომარეობის მიმართ, მიდგომები თანდათანობით იცვლებოდა. დიდი ხნის განმავლობაში, არ იყო მოწესრიგებული საკითხი რომის სამართალში იმის შესახებ, თუ ვინ იყო ვალდებული ეზრუნა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების შენახვაზე. ბავშვი, რომელიც დაიბადებოდა ქორწინების გარეშე და ის ბავშვი, რომლის აღიარება პატერფამილიას, დომუსის და აგნატური ოჯახის წევრად არ სურდათ, დასაღუპად იყო განწირული.<sup>6</sup> თორმეტი ტაბულის კანონებში, უკვე ამ საკითხზე „pater familias“-ის, შერბილებულია. დიგესტების მიხედვით, ჯანმრთელი ბიჭი ბავშვები და პირველშობილი ოჯახის გოგონები ოჯახის წევრები ხდებოდნენ, ხოლო რაც შეეხება ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებსა და სხვა გოგონებს, ისინი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ უარყოფილები. კლასიკური პერიოდის სამართალში ამგვარი გამონაკლისი სახით არსებობდა მხოლოდ არასიცოცხლისუნარიანი ბავშვების მიმართ. შემდგომში კანონიერი ქორწინების შედეგად დაბადებული ყველა ბავშვი ოჯახის წევრი ხდებოდა.<sup>7</sup> რომაულ სამართალს, საფუძვლად ჰქონდა რომაული ტრადიციები, აღნიშნულის მიხედვით, ხელისუფლება შვილზე ეკუთვნოდა მამას, ამასთან მამას ჰქონდა უფლება, დაეტუსალებინა შვილი, გაეყიდა მონად, მოეკლა, ასევე შეეძლო ჩამოერთვა შვილის მიერ შეძენილი ქონება. მხოლოდ, მესამედ გაყიდვის შემდეგ, შვილს შეეძლო გათავისუფლებულიყო მამის ხელისუფლებისაგან. სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა მამის უფლებები შვილზე. საოჯახო ურთიერთობები „პატერ ფამილიას” და მის დაქვემდებარებულ ოჯახის წევრებს შორის წესრიგდებოდა მხოლოდ „პატერ ფამილიასის” ნება - სურვილის მიხედვით. კლასიკურ და პოსტკლასიკური სამართლის ეპოქაში მამის ხელისუფლება მნიშვნელოვნად შემცირდა, მან ამ დროს დაკარგა ისეთი უფლებები, რომელიც უმნიშვნელოვანესს, თავისუფლებასა და ნებელობას ანიჭებდა მანამდე, მამის ხელისუფლებას დაქვემდებარებულ ოჯახის წევრებს, მამას უკვე აღარ ჰქონდა უფლება საკუთარი შვილი გაეგდო ოჯახიდან, გაეყიდა

<sup>5</sup> მონტესკიე შ. ლ. „კანონთა გონი”, 1994წ. გვ. 495

<sup>6</sup> ლობჯანიძე გ. „რომის სახელმწიფო და სამართალი”, „საქ. საავიაციო უნ - ტის აკადემიური საბჭო”, ქუთაისი. 2009 გვ.70

<sup>7</sup> დიგესტები, 25, 3, 16.

(გარდა უკიდურესი გაჭირვების შემთხვევისა) ან მოეკლა იგი. ოჯახის წევრთა ქორწინების შემთხვევაში, ასევე კანონით პირის ემანსიპაციისას, უკვე აღარ იყო საჭირო მამის თანხმობა.<sup>8</sup>

მამის ძალაუფლების შეზღუდვისას დღის წესრიგში დადგა ბავშვთა უფლებათა პრიორიტეტულობის საკითხი, მამის უფლებებს დაუპირისპირდა ბავშვების უფლებები. ბავშვებს უფლებებთან ერთად ასევე დაეკისრათ მოვალეობებიც. მამას ჰქონდა უფლება, მოეთხოვა მისი პიროვნების მიმართ პატივისცემა და საშინაო დისციპლინის დაცვა, მის უფლებაში რჩებოდა ბავშვის აღზრდა, მათი საქმიანობის არჩევანში მონაწილეობის უფლება, ქორწინების შემთხვევაში რჩევის მიცემის, მათი მზრუნველისა და მეურვის შერჩევის უფლება. შვილებს ჰქონდა ქორწინების შემთხვევაში მზითევისა და საჩუქრის მიღების უფლება. გარდა ამისა შეეძლოთ მოეთხოვათ მამის მფლანგველად გამოცხადება, თუ ის საკუთარი უსარგებლო და არაგონივრული ქმედებით საფრთხის ქვეშ აყენებდა ოჯახის არსებობას და ეკონომიკურ მდგომარეობას.<sup>9</sup> ოდითგანვე, მამის ხელისუფლებას დაქვემდებარებული პირები, ყოველ შემთხვევაში ვაჟიშვილი და ქალიშვილი, მამის გარდაცვალების შემდეგ ხდებოდნენ თავისუფლები, მაგრამ პაპის გარდაცვალების შემთხვევაში ყოველთვის არ ხდებოდნენ თავისუფლები პირები, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაპის გარდაცვალების შემდეგ თავიანთი მამის ხელისუფლებას არ დაექვემდებარებოდნენ.<sup>10</sup> „მამის ხელისუფლებასაც ჰქონდა დასასრული რომლის სამართალში, არსებობდა სხვადასხვა გზა, მამის ხელისუფლების შეწყვეტისა, მამის ხელისუფლება წყდებოდა: 1) მამის გარდაცვალებით; 2) ბავშვის გარდაცვალებით; 3) მამისათვის მამის ხელისუფლების ჩამორთმევით, ეს ხდებოდა იმ შემთხვევაში თუ მან უღირსი საქციელი ჩაიდინა, თუ გადააგდო თავისი შვილი, თუ მაჭანკლობდა საკუთარ ქალიშვილთან, ან ხელი შეუწყო ინცენტიურ ქორწინებას; 4) შვილად აყვანილის მიერ რაიმე საპატიო წოდების მიღება, რომელიც მას უფლებას აძლევდა გამოსულიყო მამის ხელისუფლებიდან;

<sup>8</sup> ლობჯანიძე გ. „რომის სახელმწიფო და სამართალი“ , „საქ. საავიაციო უნ - ტის აკადემიური საბჭო“ ქუთაისი., 2009 გვ.75

<sup>9</sup> იქვე, 76

<sup>10</sup> რომლის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ.31

5)მამის ხელისუფლება წყდებოდა ემანსიპაციის გზითაც, თუ მამა ათავისუფლებდა თავის ხელისუფლების ქვეშ მყოფს და ეს უკანასკნელიც თანახმა იყო ამაზე”.<sup>11</sup> ინსტიტუციების მიხედვით, მშობლის ხელისუფლების ქვეშ ყოფნა წყდებოდა ემანსიპაციის გზით, ეს განთავისუფლება ადრე ხდებოდა ან ძველი კანონი დაცვით, ან იმპერატორის რესკრიპტით, მაგრამ ჩვენმა მზრუნველობამ, ვკითხულობთ ინსტიტუციებში, ეს წესებიც კონსტიტუციის საშუალებით გააუმჯობესა, იმგვარად, რომ გავაუქმეთ ადრინდელი ფიქცია და მშობლებს ახლა შეუძლიათ პირდაპირ შესაბამის მოსამართლეს ან მაგისტრანტს მიმართონ და თავიანთი ვაჟიშვილები და ქალიშვილები, შვილიშვილები, ვაჟები და ქალები და ა.შ. თავიანთი ხელისუფლებიდან გაანთავისუფლონ.

## **1.2. მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და განავითარება ქართული სამართლის მიხედვით**

მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, „საოჯახო ურთიერთობები ხასიათდება შემდეგი თვისებებით: მონაწილეები იურიდიულად თანასწორნი არიან, დამოუკიდებელ ნებას ავლენენ და მათი ქონება განცალკევებულია ოჯახის სხვა წევრების ქონებისაგან, შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის ნორმებისა და საოჯახო სამართლის ნორმების თანაფარდობა შეიძლება განვიხილოთ როგორც თანაფარდობა ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის, და საოჯახო ურთიერთობების მიმართ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები გამოიყენება შემდეგი წესის შესაბამისად: საოჯახო სამართლის სპეციალური ნორმების არსებობისას საოჯახო ურთიერთობები ამ ნორმებით რეგულირდება, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ზოგადი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები”.<sup>12</sup>

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დასაწყისიდან საოჯახო კანონმდებლობა ითვალისწინებდა იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძველი გახდა საბჭოთა საოჯახო სამართლისა: კანონის მიხედვით, აღიარებული იქნა

<sup>11</sup> მეტრეველი ვ. „რომის სამართლის საფუძვლები” „მერიდიანი” თბ. 2013. გვ.67

<sup>12</sup> Гражданское право: под ред. Сергеева А.П., Толстого Ю.К., Учебник, Том 3, «Проспект», М., 2005, 321

ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვების რეგისტრირებული ქორწინების შედეგად გაჩენილ ბავშვებთან უფლებრივად გათანასწორობა, დაქორწინების თავისუფლება, ბავშვების ინტერესების დაცვის პრიორიტეტი მშობლიური უფლებების განხორციელებისას, მშობლებისა და შვილების საალიმენტო ვალდებულება, და ა.შ. არაერთი საკითხი ადამიანის უფლებების კუთხით. საოჯახო სამართლის სფეროში გამოცემულმა იმდროინდელმა დეკრეტებმა, საფუძველი ჩაუყარეს მოქალაქეების პირადი უფლებების შესახებ ახალი კანონმდებლობის განვითარებას. „1918 წლის 16 სექტემბერს ძალაში შევიდა კოდექსი „მოქალაქეობრივი მდგომარეობის, საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო სამართლის კანონების” შესახებ. ამ კოდექსმა მთლიანად მოიცვა საქორწინო საოჯახო ურთიერთობა. კოდექსში დაწვრილებით იყო განხილული მეუღლეთა უფლება-მოვალეობების საკითხი. მეუღლეთა შორის უფლების რეგლამეტაცია მიმართული იყო მეუღლეების სრულ თანასწორობაზე. კოდექსმა განავითარა ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვების სამართლებრივი მდგომარეობა. აღნიშნული ნორმატიული დანაწესი, ქორწინების გარეშე გაჩენილ ბავშვებს უფლებრივად უთანაბრებდა, ქორწინების შედეგად გაჩენილ ბავშვებთან. კოდექსი ადგენდა მამობისა და დედობის სასამართლო - სარეგისტრაციო წესს. მამობისა და დედობის დადგენა წარმოებდა დაბადების ჩაწერის წიგნში აღნიშვნის გზით. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ ჩაწერას ადგილი არ ჰქონდა ან/და არასწორი იყო, ასეთ შემთხვევაში სასამართლო წესით ხდებოდა მისი დამტკიცება. კოდექსმა რეგისტრაციის გარეშე ფეხმძიმე ქალს უფლება მისცა მშობიარობამდე სამი თვით ადრე შეეტანა განცხადება მამის ადგილობრივ ორგანოში ბავშვის მამის სახელისა და ადგილსამყოფელის შესახებ. პირი, რომელიც განცხადებაში მამად იქებოდა დასახელებული, უფლებამოსილი იყო ორი კვირის განმავლობაში სასამართლო წესით ეწარმოებინა აცილება დედის განცხადებაზე. ამ ვადაში აცილების შესახებ საქმის აღუძვრელობა კი ბავშვის თავისად ცნობას უთანაბრებოდა.”<sup>13</sup> დღეს მოქმედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსამდე, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 26 ივნისს, საბჭოთა კავშირის სამართლის

<sup>13</sup> ჯორბენაძე ს. „საბჭოთა საოჯახო სამართალი”, „სახ. უნივერსიტეტი” თბ. 1957, გვ. 104



მიხედვით საოჯახო ურთიერთობები ცალკე კოდექსით - საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსით რეგულირდებოდა. ეს საკითხის საბჭოური გადაწყვეტა იყო, რადგან სამოქალაქო სამართლის ნორმატიულ მასალაში, რომელიც მე-19 მე-20 საუკუნეების მანძილზე შეიქმნა არსად ყოფილა საუბარი სამოქალაქო კოდექსში საოჯახო სამართლის შეტანაზე. სამოქალაქო კოდექსის შექმნისას, რომელიც საბჭოთა სამართლის ეპოქას დაასრულებდა, გაიმართა დისკუსია იმასთან დაკავშირებით, შესულიყო თუ არა საოჯახო სამართალი სამოქალაქო კოდექსში. მიიჩნიეს, რომ საკითხის სწორად გადაწყვეტა იქნებოდა თუ საოჯახო სამართალი, სამოქალაქო კოდექსის შემადგენელი ნაწილი იქნებოდა, სწორედ ამიტომ შევიდა საოჯახო სამართალი, გერმანული სამოქალაქო კოდექსის ანაგოლით შექმნილ ქართულ სამოქალაქო კოდექსში. საოჯახო ურთიერთობები შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო ურთიერთობათა უპირველესი ნაწილია. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში პირველი წიგნი სწორედ საოჯახო სამართალს ეხება. ასევე იყო აღნიშნული საკითხი იუსტინიანეს ინსტიტუციებში. ქართული სამოქალაქო კოდექსი პანდექტური სამართლის სისტემის მიხედვით შეიქმნა და საოჯახო სამართალი მასში მეხუთე წიგნად შევიდა.<sup>14</sup> „საოჯახო ურთიერთობათა შინაარსის ანალიზი და მათი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი იმაზე მეტყველებს, რომ საოჯახო სამართალი არასდროს ყოფილა სამართლის დამოუკიდებელი დარგი ან ქვედარგი და მის მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი სამოქალაქო ურთიერთობათა ნაირსახეობაა“.<sup>15</sup>

---

<sup>14</sup> ჭანტურია, ლ. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი მეხუთე, თბ. 2000. გვ.3

<sup>15</sup> ჯაფარიძე, ქ. „შშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები“, სადისერტაციო ნაშრომი, 2018, გვ.44

## თავი II. მშობლების მოვალეობის განსაზღვრა მშობლებისა და შვილების სამართლებრივ ურთიერთობებში.

### 2.1. მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლები

ქართული სამართლის საოჯახო კანონმდებლობა, მშობლებისა და შვილების სამართლებრივ ურთიერთობებს განსაზღვრავს და ხელმძღვანელობს საერთაშორისო - სამართლებრივი აქტებით, რომლის მიხედვითაც დადგინდა შიდა რეგულირებადი სფერო. ქართულ კერძო სამართალში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბავშვზე ზრუნვის ასპექტში მშობლები წარმოადგენენ ერთდოულად უფლებამოსილ და ვალდებულ მხარეებს.<sup>16</sup> მშობლების ამ პრობლემებზე რეაგირების მიზნით მეცნიერებმა შეიმუშავეს კანონპროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვების სოციალურ ქსელებში საქმიანობასთან მშობლების ხელმისაწვდომობას ბავშვის სურვილის წინააღმდეგ, აგრეთვე შემოთავაზებულია აღზრდის ნორმები, რომელთაც შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ინტენსიური აღზრდის მაღალი სტანდარტების ინტეგრაციას სამართლებრივ სტანდარტებში.<sup>17</sup>

ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისა არის ბავშვის დაბადება, როდესაც წყვილი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში და ასევე სისხლით ნათესაობა. დედისა და შვილის სამართლებრივი ურთიერთობა მარტივადაა დარეგულირებული სამართალში, საკმარისია მხოლოდ დედის მიერ ბავშვის დაბადება და მათ შორის უკვე წარმოშობილია სამართლებრივი ურთიერთობები, ანუ სისხლით ნათესაობა. სხვაგვარად რეგულირდება მამისა და შვილის უფლება-მოვალეობების წარმოშობა, აქ საჭიროა ქორწინების რეგისტრაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წყვილი არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, თუმცა მამაკაცი აღიარებს დაბადებული ბავშვის მამობას ან კიდევ,

<sup>16</sup> Советское семейное право, Под ред. Маслова В. Ф., Пушкина А. А., «Вища школа», Киев, 1982, 129

<sup>17</sup> იხ. Bernstein G., Under the Parental Gaze: Intensive Parenting, Social Networks and Children's Privacy. კონფერენციის მასალების კრებულში: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conference, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 5.

როდესაც მამობა დაადგენილია სასამართლოს მიერ. ამრიგად, კანონის საფუძველზე, მშობლებსა და შვილებს შორის გარკვეული უფლება-მოვალეობების წარმოშობას საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა კანონის შესაბამისად. ბავშვის დაბადების რეგისტრაციას ხორციელდება, შესაბამის ორგანოში, კანონით დადგენილი წესით განცხადებით მიმართვით. საოჯახო კანონმდებლობა იცავს რეგისტრირებულ ქორწინებას. ქორწინების რეგისტრაცია არის წინაპირობა, როგორც მეუღლეების, ასევე მათი შვილების ინტერესების დაცვისა და სამართლებრივი ურთიერთობების სწორად განსაზღვრისა. არსებობს ბავშვის დედასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მამობის პრეზუმცია. ამიტომაც, მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ დაბადებული ბავშვის მამა აღნიშნული პირია. (რა თქმა უნდა, როგორც უმეტესად აქაც შეიძლება არსებობდეს გამონაკლისები, მაგრამ ძირითადად, გაჩენილი ბავშვის მამა - დედის ქმარია). რადგან, „ეს არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობის წარმოდგენებს და შეიძლება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს ბავშვის მშობლები“.<sup>18</sup> გერმანულ სამართალში ანალოგიურად არის მოწესრიგებული ბავშვის მამობის დადგენის საკითხი, გსკ §1592 მუხლის მიხედვით, ბავშვის მამას წარმოადგენს მამაკაცი, რომელიც, ბავშვის დაბადების მომენტში დაქორწინებულია ბავშვის დედასთან, ან რომელმაც ნებაყოფლობით აღიარა მამობა, ან კიდევ, ვისი მამობაც სასამართლო წესი არის დადგენილი. ქართული სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, დაუქორწინებელი მშობლებისაგან დაბადებული ბავშვის წარმოშობის დადგენა, სსკ-ს 1190-ე მუხლის მიხედვით, ბავშვის გაჩენა ისეთი მშობლებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში დასტურდება სარეგისტრაციო ორგანოში დაბადების ფაქტის რეგისტრაციის შესახებ ბავშვის დედისა და მამის ერთობლივი განცხადების შეტანით. დაუქორწინებელი მშობლების შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც დადგინდება მამობა, მამამ ასევე უნდა უზრუნველყოს შვილები ფინანსური დახმარებით.<sup>19</sup> სსკ-ს 1188-ე მუხლის

<sup>18</sup> შენგელია რ. „ოჯახის წევრთა სამართლებრივი ურთიერთობები“. თბ., 1999. გვ. 10

<sup>19</sup> Corden A., Meyer D. R., Child Support Policy Regimes in the United States, United Kingdom, and other Countries: Similar issues, Different approaches, University of Wisconsin–Madison Institute

მიხედვით, მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს ათი თვისა.<sup>20</sup> ბავშვის დაბადებამდე მეტი ხნის გასვლის შემთხვევაში საკმაო საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ გაჩენილი ბავშვის მამად სხვა პირი ჩაითვალოს<sup>21</sup>. ამავე მუხლის მე- 7 და მე- 8 ნაწილების მიხედვით, პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, შეუძლია სადავო გახადოს ამ მუხლის შესაბამისად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის თაობაზე. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ბავშვის მამას წარმოადგენს მამაკაცი, რომელიც დაქორწინებული იყო ბავშვის დაბადებამდე და მამაკაცის გარდაცვალებიდან 300 დღის განმავლობაში დაიბადა ბავშვი, თუ დადგინდება, რომ ბავშვი ჩასახულია აღნიშნულ ვადაში. რაც შეეხება შეცილების ვადებს, იგი შეადგენს 2 წელს იმ მომენტიდან, როდესაც უფლებამოსილი პირი შეიტყობს, მისი მამობის საწინააღმდეგო გარემოებებს.

სამოქალაქო სამართლის ცალკე მოწესრიგების საკითხია, ხელოვნური განაყოფიერებისა და ემბრიონის იმპლემენტაციის გზით გაჩენილი ბავშვის რეგისტრაცია. ქალის ხელოვნური განაყოფიერება და ემბრიონის იმპლემენტაცია მეუღლეთა წინასწარი წერილობითი თანხმობით ხორციელდება. რ. შენგელია აღნიშნავს, რომ ხელოვნური განაყოფიერების დროს, ქალი დონორ მამაკაცს არ იცნობს, შესაბამისად მათ შორის რაიმე შეთანხმება არ შეიძლება არსებობდეს. დონორის ვინაობის გაგებისას, ბავშვის მშობლებს უფლება არ აქვთ მოთხოვნა წაუყენონ მას მამობის აღიარების თაობაზე, ისე როგორც, დონორს არ აქვს უფლება გამოთქვას ბავშვის მამობაზე პრეტენზია. ხოლო, რაც შეეხება, ხელოვნურად განაყოფიერებული ქალის ქმარს, რადგან მას წინასწარ თანმობა გამოთქმული ჰქონდა აღნიშნულ პროცედურაზე, უფლება არ აქვს სადაო

---

for Research on Poverty, Focus, Volume 21, Number 1, 2000, Spring, 75,  
<http://www.irp.wisc.edu/publications/focus/pdfs/foc211.pdf>, [24.09.13]

<sup>20</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

<sup>21</sup> ჭანტურია, ლ. ,, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი”, წიგნი მეხუთე. თბ., 2000. გვ. 154

გახადოს თავისი მამობის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის ამ გზით გაჩენილი ბავშვის მამა.<sup>22</sup> მეორე საკითხად უნდა განვიხილოთ, ემბრიონის იმპლემენტაცია, რომლის დროსაც დონორი ქალის ვინაობა ცნობილია და მეუღლეები შეთანხმების შემდგომ, მასთან აფორმებენ ხელშეკრულებას ემბრიონის იმპლემენტირების, ნაყოფის მუცლით ტარებისა და მშობიარობის შემდგომ, ბავშვის მათთვის გადაცემის შესახებ. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება იყოს სასყიდლიანი იყოს. ფულადი თანხა, რომლის უნდა გადაუხადონ დონორ ქალს, შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც კომპენსაცია, ორსულობით გამოწვეული გარკვეული დისკომფორტისა და ჯანმრთელობის გაუარესების რისკისათვის<sup>23</sup>.

მამობის ნებაყოფლობითი აღიარება ცალმხრივი აქტია, რომელიც წარმოშობს მამასა და შვილს შორის სამართლებრივ ურთიერთობას. ქორწინების გარეშე დაბადებული ყველა ბავშვის მამობის აღიარება დასაშვებია, მიუხედავად იმისა სრულწლოვნები არიან ისინი, თუ არასრულწლოვნები. მამობის ნებაყოფლობითი აღიარება შეუძლია არამართო სრულწლოვან მამას არამედ, ასევე არსრულწლოვანსაც. ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში კანონზომიერია, მამად რეგისტრირებული არასრულწლოვანი პირის სრულ ქმედუნარიანად აღიარების საკითხი.<sup>24</sup> მამობის აღიარება მოქმედებს ბავშვის დაბადების მომენტიდან. რაც შეეხება აღნიშნულ საკითხს გერმანიის სამოქალაქო სამართალში, მოქმედებს შემდეგნაირად, §1594 მუხლის მიხედვით „თუ კანონიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, აღიარების სამართლებრივი შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ძალაში შედის აღიარების შესახებ განცხადება”.<sup>25</sup> მამობის აღიარების უფლება აქვთ ასევე ისეთ პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ გამოცხადებული არიან შეზღუდულქმედუნარიანად, რადგან ასეთი შეზღუდვა საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებზე არ მოქმედებს. იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები

<sup>22</sup> შენგელია რ., შენგელია ე., „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი”, „მერიდიანი” თბ. 2017, გვ.154

<sup>23</sup> Малейна Н. М., Человек и Медицина в современно праве. М., 1995, с.98

<sup>24</sup> Антоколская М.В., семейное право., 1999, с. 221

<sup>25</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §1594.

დაქორწინებულნი არ არიან და პირი აცხადებს, რომ არ არის გაჩენილი ბავშვის მამა, შეიძლება მამობა სასამართლო წესით დადგინდეს.<sup>26</sup> ერთ-ერთი საფუძველი მამობის დადგენისა შესაძლებელია იყოს ექსპერტიზა. თუმცა სხვადასხვა სახის ექსპერტიზა. მისი მტკიცებულებითი მნიშვნელობა ეფუძნება სისხლის ჯგუფისა და ტიპის მშობლებიდან შვილებზე გადასვლის მექანიზმს. იგი სისხლის ჯგუფობრივი ან ტიპობრივი და არა ინდივიდუალური კუთვნილების დადგენის საშუალებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სისხლის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა იძლევა მამობის გამორიცხვისა და არა დადგენის საშუალებას.<sup>27</sup> „უკანასკნელ პერიოდში დიდი მნიშვნელობა შეიძინა გენეტიკური ექსპერტიზის გამოყენებამ. რადგან, მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული გენურ ინჟინერიაში. დადგენილია, რომ ყველა ადამიანის გენებში არსებული ცილა-დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ) განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს კი საფუძველი დაედო პიროვნების იდენტიფიკაციისა და ნათესაობის დადგენის ახალ მეთოდს - გენური დაქტილოსკოპიის დამკვიდრებას. მის საფუძველზე ჩატარებული გენეტიკური ექსპერტიზა თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით ადგენს ბავშვების ამა თუ იმ პირებისაგან წარმოშობის ფაქტს. გენეტიკური ექსპერტიზის მასალების გამოყენება ფართოდ შეიძლება არამარტო მაშინ, როცა მამობის სასამართლო წესით დადგენა ხდება, არამდე, როცა პირს გარკვეული პრეტენზია გააჩნია ბავშვის მშობლობაზე, ამა თუ იმ პირთან სისხლით ნათესაობაზე. და ა.შ.“<sup>28</sup> უზენაესი სასამართლო თავის ერთ - ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „მამობის სასამართლო წესით დადგენისათვის კანონით განსაზღვრული საფუძველების არსებობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მოპასუხეს არ შეუძლია სასამართლოში წარადგინოს მისი მამობის გამაბათილებელი საბუთები (ბავშვის ჩასახვის მომენტში ხანგრძლივ მივლინებაში ყოფნა, განაყოფიერების უნარის უქონლობა, იმპოტენტობა და სხვ.) მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამტკიცდება მამობის დადგენისათვის

<sup>26</sup> ნადიბაიძე ლ. „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა“. ჟ „სამართალი“, 1996 #1-2 გვ.59.

<sup>27</sup> ჩიკვაშვილი, შ. „საოჯახო სამართალი“, „მერიდიანი“ თბ., 2004, გვ.279.

<sup>28</sup> შენგელია რ., შენგელია ე. „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, „მერიდიანი“ თბ., 2017, გვ.160

აუცილებელი რომელიმე საფუძვლის არსებობა, სასამართლო მოპასუხეს აღიარებს ბავშვის მამად. ასეთი პირი რეგისტრაციაში გატარდება როგორც ბავშვის მამა და მას დაეკისრება ბავშვის რჩენა - აღზრდასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები”.<sup>29</sup> რომან შენგელია აღნიშნავს, რომ ბავშვის გაჩენისადმი არასერიოზული დამოკიდებულება, შემთხვევითი სქესობრივი კავშირი და მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება მოპასუხისათვის სერიოზული ზნეობრივი და მატერიალური ვალდებულებების დაკისრების საფუძველი გახდეს. არც ექსპერტიზის დასკვნას შეიძლება მიეცეს, ასეთი შემთხვევებში, გადაწყვეტი მნიშვნელობა.<sup>30</sup> სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლს, 2011 წელს დაემატა მე-8 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. (2.3. ქვეთავში ვრცლად გვექნება მსჯელობა ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე) სასამართლო წესით მამობის დადგენისას, ბავშვს მშობლების მიმართ, აგრეთვე მათი ნათესავების მიმართ წარმოეშობა ისეთი უფლებები და მოვალეობები, როგორც გააჩნიათ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ბავშვებს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ბავშვის ბიოლოგიური წარმომავლობის დადგენისათვის მამას და დედას შესაბამისად ერთნაშეთისაგან ასევე, ბავშვს ორივე მშობლისაგან, შეუძლიათ მოითხოვონ, რომ მათ განაცხადონ თანხმობა წარმომავლობის გენეტიკური კვლევის ჩატარებაზე და ითმინონ კვლევისათვის საჭირო სინჯის აღება. წარმომავლობის დადგენის მიზნით კვლევის ჩატარება ხდება შესაბამისად სასამართლო განჩინების საფუძველზე. სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს წარმომავლობის დადგენის პროცესი, თუ მიიჩნევს, რომ იგი არსრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისათვის არსებითი ზიანის მომტანია. ქართული კანონმდებლობით ზუსტადაა განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ სადაო გახადონ ჩანაწერი მშობლების შესახებ. ეს უფლება იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული მშობლების პიროვნებასთან, რომ დედად ან მამად

<sup>29</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბ., 2006 #9, გვ.22

<sup>30</sup> შენგელია, რ. შენგელია, ე. „მამობის დადგენის სამართლებრივი საფუძვლები“. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბ., 2012, გვ. 45

ჩაწერილი პირის გარდა, სხვას არავის აქვს ასეთი უფლება და არც წარმომადგენლის მიერ შეიძლება მისი განხორციელება. ამიტომ არასრულწლოვანი დედის ან მამის მშობლებსაც კი არ აქვთ უფლება გაასაჩივრონ ჩანაწერი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც, ასევე მკაცრად განიხილავს შეცილებაზე უფლებამოსილ პირებს, §1600a. მიხედვით, შეცილება დაუშვებელია წარმომადგენლის მეშვეობით.

დედას, ასევე განსაზღვრულ შემთხვევებში მამას, აქვს უფლება ბავშვის მამად ჩაიწეროს საკუთარი თავი, მხოლოდ ობიექტური საფუძვლების არსებობისას, ძირითადად ამგვარი შემთხვევი შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური გარემოებები, რომელიც გამორიცხავენ მშობლების ერთობლივი განცხადების შეტანას სარეგისტრაციო ორგანოში. (ასეთი შესაძლებელია იყოს ბავშვის დედის გარდაცვალება, მშობლის უფლების ჩამორთმევა და ა.შ.) მსგავს შემთხვევებში, საკმარისია მხოლოდ მამის შესახებ ჩანაწერის გასაკეთებლად მიმართოს მამამ განცხადებით. თუ ბავშვის დედას არ სურს გაამხილოს ბავშვის მამის ვინაობა, მამობის დადგენაზე თავად მამაკაცსაც შეუძლია, მიმართოს სასამართლოს. სასამართლოს მიერ მამობის დადგენაზე სარჩელის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის გვარად მიეთითება დედის გავრი, ხოლო მამის მონაცემების გრაფა ცარიელი დარჩება.

## 2.2. (ქონებრივი) საალიმენტო ურთიერთობის შინაარსი

„ალიმენტი“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს სარჩოს, რომელიც ვალდებულმა პირმა უნდა გადაუხადოს მისი მოთხოვნის უფლების მქონეს. საოჯახო სამართალში ალიმენტის გულისხმობს რჩენისათვის განკუთვნილი სახსრებს.<sup>31</sup> იუსტინიანეს დიგესტებში გადმოცემულია ულპიანეს მოსაზრება, რომ მშობლები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი შვილები მაშინაც კი, როცა ისინი არ იმყოფებიან მშობლების ხელისუფლების ქვეშ და პირიქით შვილები ვალდებულნი არიან არჩინონ მშობლები, რაც საგულისხმოა, რომ

<sup>31</sup> ჩიკვაშვილი, შ. „საალიმენტო ვალდებულება“, საბჭ. საქართველო 1976, გვ. 9-10



გამოხატავს საალიმენტო ვალდებულების შინაარსს. ალიმენტი არის ფულადი სახსრები არასრულწლოვანთა ან სრულწლოვან შრომისუნარო ოჯახის წევრთა სარჩენად.<sup>32</sup> საალიმენტო უფლება - მოვალეობები მკაცრად განსაზღვრულია, რადგან კანონი ზუსტად განსაზღვრავს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ ვის შეიძლება მიემართებოდეს აღნიშნული ვალდებულება თუ უფლება. დაუშვებელია საალიმენტო ვალდებულება დაეკისროს სხვა პირს, გარდა კანონით გათვალისწინებული პირებისა. დაუშვებელია, საალიმენტო ურთიერთობის მონაწილე პირებმა უარი თქვან მათზე დაკისრებული საალიმენტო ვალდებულებების შესრულებაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ბათილია უარის თქმა ალიმენტის მიღებაზე მომავლისათვის. ალიმენტის მიღებ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ალიმენტის გადახდევინება უფლების არსებობის განმავლობაში. საალიმენტო ვალდებულებათა მხარეები არიან ალიმენტის მიმღები და ალიმენტის გადამხდელი. საალიმენტო ვალდებულებების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, განსაზღვრავს ოჯახის წევრთა მოვალეობას, საჭიროების შესაბამისად არჩინონ ერთმანეთი. ალიმენტის მიმღები და ალიმენტის მიმცემი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ნების ავტონომიის საფუძველზე, განსაზღვრავენ ალიმენტის ოდენობას, მისი გადახდის წესსა და ვადას. აღნიშნულს აღსრულების მიზნებისათვის ისეთივე სამართლებრივი შედეგები აქვს, როგორც სასამართლოს მიერ განსაზღვრულს. დღეს მოქმედი ქართული საოჯახო სამართალი ზუსტად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისაც უფლება აქვს მიიღოს ალიმენტი. ეს წრე არ კონკრეტდება, მხოლოდ იმ ოჯახის წევრებს შორის, ვინც ერთმანეთთან იმყოფებიან სისხლით ნათესაური კავშირში, არამედ, კანონი ასევე ითვალისწინებს იმ პირთა შორის საალიმენტო

---

<sup>32</sup> Столбов М.Г., Как увеличить размер алиментов, «Ось-89», М., 2005, 3

ვალდებულებებსაც რომლებიც არ არიან ერთმანეთის სისხლით ნათესაობები (დედინაცვალი, გერი, შვილად აყვანილი და ა.შ.)<sup>33</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე და 1217-ე მუხლები განსაზღვრავენ მშობლებისა და შვილების ვალდებულებას არჩინონ ერთმანეთი, რომლების საჭიროებენ დახმარებას, ასევე მშობლები ვალდებული არიან არჩინონ თავინთი არასრულწლოვანი შვილების, აღნიშნული მუხლების თანახმად, *„მშობლები მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.“* თავის მხრივ *„შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ.“* გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §1601, მუხლი უთითებს, რომ *„პირდაპირი ხაზით ნათესავები ვალდებული არიან არჩინონ ერთმანეთი.“* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ქართულისაგან განსხვავებით, ალიმენტის სარჩოს გადამხდელ პირად არ აკონკრეტებს შთამომავლებისა და აღმავალი ხაზით ნათესავების გარდა სხვა პირებს. ბავშვის უფლებათა კონვენციაში მითითებულია არა მხოლოდ მშობელთა მიერ შვილების რჩენის ვალდებულებაზე, არამედ მათ ფინანსურ პასუხისმგებლობაზეც, რომელიც უპირველესად ბავშვის რჩენის სასხსები უნდა იყოს, სახელმწიფო მისი ინსტიტუტებით უფლებამოსილნი არიან, სხვადასხვაგვარი დახმარება გაუწიონ მშობლებს შვილების შენახვაში, მაგრამ მათი რჩენის ძირითადი წყარო უნდა იყოს მშობლების მიერ გაღებული სახსრები. აღსანიშნავია ისიც, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული ბავშვთა უფლებების კონვენცია მიუთითებს, რომ ბავშვებს აქვს უფლება მიიღონ განსაკუთრებული მზრუნველობა და დახმარება. აღნიშნული კონვენციის პრეამბულაში მითითებულია, რომ ოჯახს, როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედს, და როგორც მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების, კეთილდღეობის ზრდის ბუნებრივ გარემოს, უნდა ჰქონდეს ჯეროვანი დაცვა და მხარდაჭერა, რათა მან საზოგადოების ფარგლებში სრულად იკისროს ვალდებულებანი. „ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია, იგი

<sup>33</sup> ჯაფარიძე, ქ. „მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები“, სადისერტაციო ნაშრომი, 2018, გვ.144-146

იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. ბავშვს, ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ. მშობლის უფლება - მოვალეობა ბავშვის მიმართ აღზრდისა და რჩენის თვალსაზრისით განისაზღვრება გარკვეული ვადით ან კანონით გათვალისწინებული პირობებით. ისინი წარმოიშობა ბავშვის დაბადების მომენტიდან და წყდება ბავშვის მიერ 18 წლის ასაკის (სრულწლოვანების) მიღწევისას; ხოლო სრულწლოვანი შრომისუნარო შვილისათვის, რომელიც დახმარებას საჭიროებს, მშობლებს ალიმენტი გადახდებთ სრულწლოვანი შვილის შრომისუნარიანობის აღდგენამდე”.<sup>34</sup> გსკ-ს მიხედვით, სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილ არასრულწლოვან დაუქორწინებელ პირს უთანაბრდება, 21 წლის ასაკს მიღწეული სრულწლოვანი დაუქორწინებელი შვილები, სანამ ისინი ცხოვრობენ მშობლების ან ერთ-ერთი მშობლის ოჯახში და იღებენ საშუალო განათლებას.

„გარკვეული სტატუსი, დედობა/მამობა, ითვლება ბავშვზე მზრუნველობის ვალდებულების აღების საფუძვლად, რომელიც, თავის მხრივ, წარმოქმნის მორალურ მოვალეობას. ამ ვალდებულების სამართლებრივ რანგში აყვანა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მამობასთან/დედობასთან დაკავშირებული მორალური ვალდებულების ბუნებრივად განხორციელება. აქედან გამომდინარე, ყველა მოვალეობა, რომლებიც მშობლებს უკვე აქვთ საკუთარი შვილის მიმართ, ემთხვევა მშობლების უმეტესობის სურვილსა და ინსტინქტებს და, ჩვეულებრივ, კარგად სრულდება, – ის უკავშირდება პროცესს, რომელიც შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი იყოს ბავშვის იდენტობის შეგრძნებისათვის.”<sup>35</sup>

უზენაესი სასამართლო ერთგან განმარტავს, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის პრეამბულით, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დეკლარაციით დადგენილია, რომ „ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის გამო

<sup>34</sup> ჯაფარიძე, ქ. „მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები“, სადისერტაციო ნაშრომი, 2018, გვ.145

<sup>35</sup> *Eekelaar J.*, Are Parents Morally Obligated to Care for Their Children, *Oxford Journal of Legal Studies*, Vol. 11, N 3, «Oxford University Press», 1991, Autumn, 340, <<http://www.jstor.org/stable/764213>> [20.10.13].

საჭიროებს სპეციალურ დაცვას და ზრუნვას, მათ შორის სათანადო სამართლებრივ დაცვას, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“. „სპეციალური დაცვის“ აუცილებელ ერთ-ერთ კომპონენტად კონვენცია განიხილავს არასრულწლოვნის სოციალურ უფლებას, რომელიც უდავოა, რომ ამავე კონვენციით აღიარებულ „საუკეთესო ინტერესების“ ცნებაში მოიაზრება და კონვენციის მე-3 მუხლის (1) (2) თანახმად, აღიარებულია შემდეგი: ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს. არასრულწლოვნის დაცვის (მათ შორის სოციალური) იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებშია ასახული, რომელთაგან ერთ-ერთს, სამოქალაქო კოდექსის 1212-ე-1238-ე მუხლები წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლში ასახულია მშობელთა სოციალური ვალდებულების საკანონმდებლო დეკლარირება და დადგენილია, რომ მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. უნდა განიმარტოს, რომ ალიმენტი, სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს მინიმალურ მატერიალურ დაცვას იმ პირისა, რომელიც საჭიროებს ზრუნვას. სამოქალაქო კოდექსი შვილის საჭიროებიდან გამომდინარე სარჩოს ოდენობის განსაზღვრას მშობლების ურთიერთშეთანხმებას მიანდობს (სკ-ის 1213-ე მუხლი). სწორედ იმ გარემოებიდან, გამომდინარე, რომ ალიმენტის მიღების უფლების მქონე პირს არ შეუძლია, დამოუკიდებლად მიაღწიოს იმ საარსებო აუცილებლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას,

რომელიც მისი განვითარების ინტერესს ემსახურება, კანონი აღჭურავს ფართო უფლებამოსილებით, ვალდებულ პირს, მოსთხოვოს სარჩოს გადახდა, რომლის ნებაყოფლობით განუხორციელებლობის შემთხვევაში, მას სრული რესურსი გააჩნია, მიმართოს სამართლებრივი იძულების მექანიზმებს (სკ-ის 1214-ე მუხლი)”.<sup>36</sup> საკასაციო სასამართლო ასევე თავის ერთ-ერთ განჩინებაში განმარტავს, რომ „სსკ-ის 1214-ე მუხლი ითვალისწინებს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ძირითად პირობებს, კერძოდ, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ამ დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე, მშობლებისა და შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. შვილების რჩენის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა, ის არაა დამოკიდებული მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე და იმის გამო, რომ შრომისუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება, გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან. ამასთან, სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას”.<sup>37</sup> საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც სამართლიანად არ მიიჩნია უმუშევრობა ალიმენტის შემცირების საფუძველად და მშობელს დააკისრა ალიმენტის გადახდის მოვალეობა, იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფდა ბავშვის საარსებო მინიმუმს.<sup>38</sup>

აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ მშობლების მიერ შვილების რჩენა ნებაყოფლობითი პროცესია. არ აქვს იმას მნიშვნელობა მშობლების იმყოფებიან თანაცხოვრებაში თუ არა. საწუხაროდ ხშირია შემთხვევები. როდესაც ერთ-ერთი მშობელი თავს არიდებს მისი ვალდებულებების შესრულებაზე, ასეთ

<sup>36</sup> სუს გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე №ას-619-619-2018,

<sup>37</sup> სუს გადაწყვეტილება, საქმეზე ას-204-191-2014, თბ., 20 ოქტომბერი, 2014

<sup>38</sup> უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე #Nას-58-49-2011, თბ., 27 ივნისი, 2011

შემთხვევაში ერთადერთი გზა საკითხის მოგვარებისაკენ არის სასამართლო, რადროსაც ერთ-ერთი მშობელი ითხოვს მეორე მშობლისაგან არასრულწლოვნის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებას. ასეთ დროს მშობელი, რომელიც არასრულწლოვანს იცავს სასამართლოში წარმოადგენს მის კანონიერ წარმომადგენელს. სასამართლოში ბავშვის უფლებების დაცვა მშობლის ვალდებულებაა, რაზედაც დეტალურად ვისაუბრებთ მომდევნო თავში.

სასამართლოს მიერ საალიმენტო ვალდებულებების შესასრულებლად განსაზღვრული ფულადი თანხის ოდენობა, არ არის მუდმივი ხასიათის. იგი შეიძლება შეიცვალოს ახალი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს მიერ. მშობელს, რომელიც არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ალიმენტს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნით, და მოითხოვოს ალიმენტის ოდენობის შემცირება. სარჩელი უნდა იყოს დასაბუთებული და ნათლად ასახავდეს იმ გარემოებას, რაც საფუძვლად დაედო სასარჩელო მოთხოვნას. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ალიმენტის მიმღებს ნებისმიერ დროს შეუძლია სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდის თაობაზე.

ჰააგის 2007 წლის ოქმის მე-4 მუხლის შესამე პუნქტი პირდაპირ აღიარებს სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილების მიერ შრომისუუნარო მშობლის რჩნის ვალდებულებას.<sup>39</sup> „არაშრომისუნარიანად ითვლება მშობელი, რომელმაც საპენსიო ასაკს მიაღწია ან ინვალიდია. ასეთი მშობლების განსაზღვრულ ნაწილს შრომითი სტაჟის გათვალისწინებით ენიშნება პენსია ან სხვა ოფიციალური დახმარებანი. შვილებს ალიმენტის გადახდევინება ეკისრებათ ისეთ შემთხვევაში, როცა მშობლებს ცხოვრების მატერიალური დახმარების საჭიროების ფაქტორს სასამართლო განსაზღვრავს“.<sup>40</sup> მშობლებს უფლება არა აქვთ, მოითხოვონ ალიმენტი იმ შვილებისაგან, რომლებიც გაშვილებული არიან სხვა პირებზე, რამდენადაც შვილად აყვანილი პირი კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება თავისი ბიოლოგიური მშობლებისა და

<sup>39</sup> იხ. Protocol on the the Law Applicable to Maintenance Obligations, Concluded 23 November, 2007, [http://www.hcch.net/index\\_en.php?act=conventions.text&cid=133](http://www.hcch.net/index_en.php?act=conventions.text&cid=133), [29.10.13].

<sup>40</sup> სუს გადაწყვეტილება სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეებზე. თბ., 2003 #9 გვ.2531

ნათესავების მიმართ ვალდებულებებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაშვილებს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ერთ-ერთ მშობელთან შენარჩუნებული აქვს სამართლებრივი ურთიერთობა. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მშობლები რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება იგი კარგავს შვილებისგან ალიმენტის მიღების უფლებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საალიმენტო ურთიერთობები წარმოიშვება იმ შემთხვევაშიც, თუნდაც შვილები თავად იმყოფებოდნენ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, მაგრამ ეს გარემოება ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას იქნება გათვალისწინებული. შვილების მიერ მშობლების რჩენის ვალდებულება პირველი რიგის საალიმენტო ვალდებულებაა. თუ მშობლებს, მოპასუხის გარდა, ჰყავს სხვა სრულწლოვანი შვილებიც, რომლებიც ვალდებულნი არიან, მშობლები სარჩოთი უზრუნველყონ, სამოქალაქო კოდექსის 1219-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მშობლების ყველა სრულწლოვან შვილს მიუხედავად იმისა, სარჩელი წარდგენილია ყველა, რამდენიმე, თუ ერთი შვილის მიმართ. თუ მშობელს არ აქვს პენსია და ვერც შვილებისაგან ღებულობს ალიმენტს, იგი საარსებო სახსრების გარეშე არ უნდა დარჩეს. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მის მატერიალურ უზრუნველყოფაზე.<sup>41</sup>

### 2.3. ბავშვის საუკეთესო ინტერესები

მშობელთა და შვილთა უფლება - მოვალეობები შეუქცევადი ხასიათისაა, არამარტო მშობლებს ეკისრებათ გარკვეული უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ, არამედ შვილებიც სარგებლობენ განსაზღვრული უფლებებით მშობლისადმი და შესაბამისად ეკისრებათ მოვალეობებიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე, 1198-ე მუხლების, ანალიზის შემდგომ შესაძლებელია მივიდეთ დასკვნამდე, რომ მშობლებს ერთობლივად და ცალ-ცალკე აკისრიათ ვალდებულება, ასევე ისინი უფლებამოსილები არიან აღზარდონ ბავშვები და იზრუნონ მათზე, რადგან 1197-ე მუხლი ბავშვს ანიჭებს

<sup>41</sup> ხეცურიანი, ჯ. „დამოუკიდებლობიდან სამართლებრივ სახელმწიფოსაკენ“. თბ., 2006, გვ.400

უფლებას, აღზარდონ საკუთარმა მშობლებმა, მაშინ როდესაც მშობლები, 1998-ე მუხლის თანახმად, ვალდებულნი არიან, აღზარდონ შვილი. ორივე მშობელს თანასწორი უფლება-მოვალეობები აკისრია (სსკ-ის 1199-ე მუხლი). მამის და დედის უფლება-მოვალეობები არა მხოლოდ თანაბარი, არამედ ერთობლივია. მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, უფლება აქვს ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან და ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში. მეორე მშობელს კი უფლება არ აქვს მას ხელი შეუშალოს ამ უფლების განხორციელებაში, რა თქმა უნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. თუ მშობლებს ბავშვის აღზრდისას, ასევე სხვადასხვა საკითხის განხილვისას აქვს დავა, სწორედ ამ დროს სასამართლოს გზით ხდება მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა. როგორც მოგეხსენებათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და ზოგადად სამოქალაქო სამართალი აგებულია ნების ავტონომიაზე, ხოლო პროცესუალური მხარე შეჯიბრებითობის პრინციპზე, რომელიც გულისხობს მხარეების უფლებას ამტკიცონ თავიანთი პოზიცია, წარმოადგინონ შესაბამისი მტკიცებულებები და ა.შ. სასამართლო, ასე რომ ვთქვათ, არბიტრის სახით გამოდის, და საბოლოო გადაწყვეტილებაში ასახავს შეჯიბრებითობის საფუძველზე არსებულ შედეგს. ერთადერთი უმნიშვნელოვანესი შემთხვევა, როდესაც სასამართლო იყენებს, ადმინისტრაციული სამართლისათვის დამახასიათებელ ინკვიზიციურობის პრინციპს, სადაც უფლება აქვს მას თავისი ინიციატივით მიიღოს მთელი რიგი გადაწყვეტილებები და მოქმედებები განახორციელოს, არის საოჯახო სამართლებრივი დავები, როდესაც საკითხი ეხება არსრულწლოვანთა საკითხს და მის საუკეთესო ინტერესებს. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის წესზე და განმარტა, რომ „საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და სსსკ-ის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივით. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და



მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მითითებული საპროცესო წესის გამოყენება გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, როგორც სამართალწარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავე კოდექსის 380-ე მუხლით მას ახალ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობაც გააჩნია. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, როდესაც საკითხი სსკ-ის 1202-ე მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმიწევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები”.<sup>42</sup>

თვით ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ” კონვენციის პრეამბულაში მითითებულია, რომ: „სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას, აღიარებენ რა საერთაშორისო შემთხვევებში ბავშვთა დაცვის სრულყოფის აუცილებლობას, ადასტურებენ, რომ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს”.<sup>43</sup>

საქართველოში მთელი რიგი შიდა თუ საერთაშორისო მექანიზმია ჩართული, იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტად მოხდეს ბავშვთა უფლებების რელიზება და დაცვა. ამისათვის, სახალხო დამცველის აპარატი, ასევე გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) მიესალმება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებათაშორისი კომისიის შექმნას. 2017 წლის 16 იანვარს შედგა კომისიის პირველი სხდომა, რომელიც მიემდგნა გაეროს ბავშვის

<sup>42</sup> სუს გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1011-931-2017

<sup>43</sup> მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენცია, რომელსაც საქართველო შეუერთდა პარლამენტის 2014 წლის 5 თებერვლის # 1953-II ს დადგენილებით.

უფლებათა კომიტეტის მომავალ პლენარულ სესიას, სადაც განხილული იქნება საქართველოს მეოთხე პერიოდული ანგარიში კონვენციის განხორციელების შესახებ. საქართველოში არ არსებობდა ზემოთ აღნიშნული მექანიზმი, რაც გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია იყო. კომიტეტმა საქართველოს ურჩია „კონვენციის შესრულების კოორდინაცია და შეფასებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა დააკისროს ერთ უწყებას და რეგულარულად გამოყოს მისთვის ადეკვატური ფინანსური და ადამიანური რესურსები, რათა ამ უწყებამ მოახდინოს ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხების კოორდინირება.<sup>44</sup> საქართველოს უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს უფროსი, შედგება სამინისტროების, პარლამენტის, უზენაესი სასამართლოს, სახალხო დამცველის აპარატის, გაეროს ბავშვთა ფონდის და ბავშვის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. კომისიის ძირითადი მიზნებია: შემუშავდეს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების ყოვლისმომცველი გეგმა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ნაწილი იქნება; ბავშვის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად მოხდეს საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგი; უზრუნველყოფილი იქნას საქართველოს კანონმდებლობის კონვენციასა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა; შეგროვდეს შესაბამისი მონაცემები და შესრულდეს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი რეკომენდაციები. კოორდინაციის მიზანია კონვენციის ყველა პრინციპისა და სტანდარტის დაცვა ყველა ბავშვის გათვალისწინებით და გარანტია, რომ კონვენციასთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარებულ იქნას არა მხოლოდ იმ სამთავრობო უწყებების მიერ, რომლებიც კურირებენ განათლების, ჯანდაცვის, კეთილდღეობის და სხვა სფეროებს, არამედ მთელი მთავრობის მიერ ყველა დონეზე, მათ შორის იმ

---

<sup>44</sup> <https://www.unicef.org/georgia/ka>

უწყებების მიერ, რომელთაც ეხებათ ფინანსები, დაგეგმვა, დასაქმება, სამართალდაცვა და უსაფრთხოება.

ბავშვის უფლება, მიიღოს ინფორმაცია უფლებებისა და ყველა იმ აქტუალური საკითხის შესახებ, რომელიც დაეხმარება მას თავისი უფლებების ეფექტიანად გამოყენებაში, წარმოადგენს ბავშვის უფლებების დაცვის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს და აღიარებულია ბავშვის უფლებათა კონვენციით. შესაბამისად, ბავშვების ინფორმირებულობის გაზრდა თავიანთი უფლებების შესახებ წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს და აუცილებელია მისი ასახვა ბავშვის უფლებების თემაზე შედგენილ ყველა პოლიტიკის დოკუმენტში. გეგმამ ამოცანის „ბავშვთა ინფორმირება უფლებებსა და თავისუფლებებზე“ შესრულება დაუკავშირა სამართლებრივი კულტურის ამალღების მიზნით, შეხვედრებსა და სხვა აქტივობებს, თუმცა გეგმაში აღნიშნული საკითხის აისახა ისე, რომ დღემდე არ უწარმოებიათ საჭიროებების კვლევა, რომელიც გამოავლენდა ბავშვების ინფორმირებულობის მხრივ არსებულ ძირითად გამოწვევებსა და თემატიკას.<sup>45</sup> საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 77-ე მუხლი განსაზღვრავს ბავშვის უფლებას მისი მოსაზრების გამოხატვასა და გათვალისწინებაზე, რომლის შესაბამისად, ბავშვის უფლება მოუსმინონ, არ შეიძლება შეიზღუდოს მის ასაკზე ან სხვა გარემოებებზე მითითებით. ბავშვს უნდა მიეცეს საკუთარი აზრის მისთვის სასურველი ფორმით გამოხატვის შესაძლებლობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს უნდა შეექმნას შესაბამისი პირობები, რაც აუცილებელია მისი აზრის გამოსახატავად, ბავშვის მიერ მოსაზრების გამოთქმა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა მესამე პირების ზეგავლენის გარეშე.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა თავის ერთ - ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, (საქმე ას-198-2019, 2019 წლის 28 მაისი) „საერთაშორისო-სამართლებრივიაქტი - „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად

<sup>45</sup> <http://ewmi-prolog.org/images/files>

ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია ზედმიწევნით სწორად დაადგინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი. ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად, „მშობლებისა და შვილების მიერ ერთმანეთის კომპანიით ორმხრივად სარგებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში „ოჯახური ცხოვრების“ ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს (**Kutzner v. Germany**). ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვთა

უფლებათა კონვენციაში“.<sup>46</sup> ამასთან, უზენაესი სასამართლო ასევე მიუთითებს, მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევრო საბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R (84) 4 რეკომენდაციის პირველი პრინციპზე, რომლის თანახმად, მშობლის პასუხისმგებლობა არის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ერთობლიობა რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ბავშვის მორალური და მატერიალური კეთილდღეობა, კერძოდ, ბავშვის მოვლა, ბავშვთან პირადი ურთიერთობების შენარჩუნება, და მისი უზრუნველყოფა განათლებით, რჩენისათვის საჭირო სახსრებით, ოფიციალური წარმომადგენლობით და მისი ქონების ადმინისტრირებით. ამავე რეკომენდაციის მე-2 პრინციპის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მშობლის პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან ან ამ პასუხისმგებლობის განხორციელების გზებთან დაკავშირებით უპირველესად უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ინტერესებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც „სახელმწიფოს სახელით“ გამოტანილი სამართლებრივი დოკუმენტია და შეეხება არასრულწლოვანის ინტერესებს, არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების ყველაზე ნათელი მაგალითი.<sup>47</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დიდი პალატის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №41615/07 **Neulinder and Shuruk v. Switzerland** (აზნაცი 136) განმარტა, რომ „ბავშვის ინტერესი ორი ასპექტისაგან შედგება. ერთი მხრივ, ინტერესი მოგვიწოდებს, რომ ბავშვის კავშირი ოჯახთან შენარჩუნებული იყოს გარდა იმ შემთხვევისა, როცა ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ოჯახური კავშირები შეიძლება გაწყვეტილ იქნეს მხოლოდ გამონაკლის ვითარებაში და ყველაფერი უნდა გაკეთდეს პირველადი ურთიერთობების შესანარჩუნებლად და, როცა ეს შესაძლებელია, უნდა „აღსდგეს“ ოჯახი. მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ ბავშვის ინტერესშია, უზრუნველყოფილ იქნეს მისი განვითარება ჯანსაღ გარემოში და მშობელი არ შეიძლება აღიჭურვოს მე-8 მუხლით განსაზღვრული უფლებით იმ

<sup>46</sup> უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე №ას-198-2019, 2019 წლის 28 მაისი

<sup>47</sup> სუს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე №ას-198-2019

ლონისძიებათა განსახორციელებლად, რაც ზიანს მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას“. თავის მხრივ, არასრულწლოვანის „უპირატესი ინტერესი“ (“main interest“) – მიიღოს მშობლებისაგან ის სამართლებრივი სიკეთე, რაც აუცილებელია მისი საზოგადოებაში ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებისათვის, უპირისპირდება მშობლის უფლებას – იწოდებოდეს და იურიდიულად იყოს მითითებული ბავშვის მამად. არასრულწლოვანი ბავშვის ამ ლეგიტიმური ინტერესის დაცვას ეძღვნება ეროვნული კანონმდებლობის – სამოქალაქო კოდექსის არა ერთი ნორმა, ბავშვის ეს უფლება გარანტირებულია ასევე უნივერსალური საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით, რომლებიც სახელმწიფო მხრიდან აწესებენ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს ბავშვის ამგვარი ინტერესის დაცულობა. აღნიშნული მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ ნეგატიური ჩარევის დაუშვებლობას (რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს არასრულწლოვანისათვის კანონით მინიჭებული უფლებები), არამედ აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასაც – განახორციელოს აქტიური მოქმედებები არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დაცვისათვის, კერძოდ, შეიმუშავოს არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად საკანონმდებლო რეგულაციები.”<sup>48</sup> „ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და, მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება, აჭარბებდეს მშობლების ინტერესებს”.<sup>49</sup>

ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ: „ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და

<sup>48</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №41615/07 Neulinder and Shuruk v. Switzerland

<sup>49</sup> საქმეში - „ნ.წ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების შესაფერისი მიღება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოდავე მხარეებიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, უთითებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობაზე, რაც სასამართლოს არწმუნებს, რომ მშობლები სწორედ არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედებენ წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულებისას და თითოეული მათგანი შვილის უპირატეს ინტერესს აღიარებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციის უზენაესობა ყოველთვის გადასწონის მშობლის უფლებასა და ინტერესს”.<sup>50</sup> ერთი, მხრივ, ნათელია, რომ კონვენცია არ ეხება მეურვეობის უფლების არსს (მუხლი 19), მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე აშკარაა, რომ ბავშვის გადაადგილებისა და დაუბრუნებლობის კვალიფიცირება უკანონო ქმედებად, განპირობებულია მეურვეობის უფლებით, რაც იურიდიულ შინაარსს ანიჭებს იმ ქმედებების გამო შეცვლილ სიტუაციას, რომელთა თავიდან აცილებასაც ჩვენ ვცდილობთ”.<sup>51</sup> კონვენციის მიზანები, მთლიანობაში პასუხობს "ბავშვის ინტერესების უზენაესობის" კონცეფციას. თუმცა, ამ თვალსაზრისითაც კი, უნდა დავუშვათ, რომ ბავშვის გადაადგილება შეიძლება ზოგჯერ ობიექტური მიზეზებით იქნეს გამართლებული, რომლებიც უკავშირდება ან მის პიროვნებას ან მისთვის უახლოეს გარემოს. შესაბამისად, კონვენცია უშვებს ზოგიერთ გამონაკლისს უკანონოდ გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვების დაუყოვნებლივ დაბრუნებასთან დაკავშირებით სახელმწიფოების მიერ აღებული ზოგადი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით. მეტწილად ეს გამონაკლისები წარმოადგენს მხოლოდ კონკრეტულ გამოხატულებას იმ

<sup>50</sup> სუს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-967-916-2015 , თბ., 25 თებერვალი, 2016

<sup>51</sup> იხ. ჰააგის 1980 წლის კონვენციის თაობაზე ელიზა პერეზ-ველეს განმარტებითი მოხსენება - b. კონვენციის მიზნები, პ.16

მეტისმეტად ბუნდოვანი პრინციპისა, რომელიც აცხადებს, რომ ბავშვის ინტერესების დაცვა წარმართველი კრიტერიუმია ამ სფეროში”.<sup>52</sup>

ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიზნად განისაზღვრა ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა, რომლის მიღწევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მეთოდების საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა, არსებული მექანიზმების შეფასება და ახალი მექანიზმების დანერგვა ამოცანის შესრულება დაუკავშირდა შემდეგ საქმიანობებს: ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებისა და პრევენციის მეთოდების შესახებ საჭიროებების კვლევა, ბავშვთა ძალადობისგან დაცვის ერთიანი სტრატეგიის შემუშავება, „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის განხორციელების მიზნით დეტალური სამუშაო დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ, სექსუალური ძალადობის იდენტიფიცირებისა და პრევენციის საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა საჭიროებების კვლევის გზით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის საპილოტე პროექტის განხორციელება და სოციალური მუშაკების გადამზადება ოჯახში ძალადობის, მათ შორის ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებზე.<sup>53</sup> აღნიშნული ამოცანის შესრულების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გეგმის მოქმედების ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტში შეიქმნა ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველო. 2016 წელს დამტკიცდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“, ასევე 2016 წელს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია“. სამოქმედო

<sup>52</sup> (იხ. ციტირება საქმიდან „გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ“, [საჩივარი N 2361/13] სტრასბურგი, 2015 წლის 21 ივლისი, გადაწყვეტილება, საბოლოო გახდა 21/10/2015).

<sup>53</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში (2016-2017 წწ.) გვ.94



გეგმის ფარგლებში ჩატარდა 16 ტრენინგი სოციალური მუშაკებისთვის, რომელიც შეეხებოდა ბავშვის მიმართ ძალადობის სხვადასხვა თემას.<sup>54</sup>

---

<sup>54</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში (2016-2017 წწ.) გვ.94

## თავი III. მშობლებისა და შვილების პირადი უფლებები და მოვალეობები

### 3.1. სახელის უფლება

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უპირველესად განვასხვავოთ ერთმანეთისაგან უფლება და მოვალეობა, როგორც სამართლებრივი ცნებები და ასევე მათი მორალური მხარე, უფლება სახელმწიფოს უპირველესად პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს და მისგან აქტიურ მოქმედებასა და უფლების დასაცავად სათანადო ზომების მიღებას მოითხოვს. მაგალითად, „საკუთრების უფლება“ სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას შექმნას ისეთი კანონმდებლობა და სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფს ჩვენი საკუთრების უფლების დაცვას. ამავდროულად, გარდა კანონმდებლობის აუცილებელია ეფექტურად მოქმედებდეს სახელმწიფო ინსტიტუტებიც. გარდა პოზიტიური ვალდებულებისა, სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულებაც - თავად, საკუთარი ქმედებით არ დაარღვიოს კერძო პირთა საკუთრების უფლება. თუმცა, ადამიანი აუცილებლად უნდა დაემორჩილოს გარკვეულ წესებს, მას აქვს მოვალეობა, არ შელახოს სხვისი უფლებები და ინტერესები. უფლება და მოვალეობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. არ არსებობს უფლება, რომელსაც არ შეესაბამება მეორე მხარის მოვალეობა. მაგ: მოსწავლეს აქვს განათლების მიღების უფლება, სახელმწიფოს კი - მოვალეობა, უზრუნველყოს იგი ამ შესაძლებლობებით, თანაც მთელი სიცოცხლის მანძილზე. ილია ჭავჭავაძე ამბობს, უფლება და მოვალეობა, რომლებიც არის პირველი და უკანასკნელი არსი ურთიერთობისა განისაზღვრება მხოლოდ კანონის ძალითა და ნიჭით. უფლება შესაძლებელია ამგავარად განვმარტოთ, რომ იგი ნიშნავს ადამიანისთვის მინიჭებულ შესაძლებლობას, საკუთარი შეხედულებისა და ინტერესების მიხედვით განახორციელოს მოქმედებები, დაიცვას საკუთარი ინტერესები და სხვებსაც მოსთხოვოს ამ უფლებების დაცვა. უფლება და მოვალეობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. არ არსებობს უფლება, რომელსაც არ შეესაბამება მეორე მხარის მოვალეობა. მაგალითად,

მოსწავლეს აქვს სწავლის უფლება - მშობელსა და შემდგომ სახელმწიფოს კი მოვალეობა უზრუნველყოს იგი.

სახელს ფლობს ნებისმიერი ადამიანი. მეცნიერები დიდი ხანია კამათობენ ბავშვის ამ უფლების სამართლებრივი ბუნების შესახებ. გამოთქმულია მოსაზრებები, რომ სახელის უფლება არის ადმინისტრაციული უფლება,<sup>55</sup> საოჯახო ან ადმინისტრაციული უფლება, ან სამოქალაქო უფლება.<sup>56</sup> სახელის უფლება, რომელიც პიროვნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ამ პიროვნების უფლებაა. სახელის უფლება, როგორც აბსოლუტური შინაარსის მქონე, უნდა განვასხვაოთ მშობლების უფლებისაგან, შეურჩიონ თავიანთ შვილს სახელი. სახელის შერჩევასთან დაკავშირებული მშობლების უფლება-მოვალეობანი სხვა სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს ქმნიან. ეს უფლება უკვე შეფარდებითი სამართლებრივი ურთიერთობაა, ვინაიდან ის პირდაპირ მიმართულია მშობლის კონკრეტულ ვალდებულებაზე.<sup>57</sup> საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, სახელის შერჩევის, როგორც ასეთის, შესახებ საუბარია სამოქალაქო კოდექსის საოჯახო სამართლის ნაწილის ნორმებში, კერძოდ: შვილს სახელს არქმევენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით (სსკ-ის 1194-ე მუხლი),<sup>58</sup> მაშინ, როდესაც სსკ-ის მე-17 მუხლში საუბარია მოქალაქის სახელის უფლებაზე და ასევე სამოქალაქო ბრუნვაში საკუთარი სახელის გამოყენების შესაძლებლობაზე. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მშობლის ვალდებულებაა უზრუნველყონ ბავშვის უფლება ჰქონდეს სახელი. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ არასრულწლოვანს თავისი ამ უფლების დამოუკიდებლად განხორციელება არ შეუძლია. მისი რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ მშობლებს აქვთ მოვალეობა – მისცენ ბავშვს სახელი,<sup>59</sup> მაგრამ სახელისა და გვარის რეგისტრირების შემდეგ ბავშვის უფლება გარდაიქმნება სამოქალაქო უფლებად, რადგან, საქართველოს

<sup>55</sup> Иоффе О. С., Советское гражданское право, Том 1, «ЛГУ», Л., 1971, 151

<sup>56</sup> იხ. Братусь С. Н., Предмет и система советского гражданского права, «Госюриздат», М., 1963, 80

<sup>57</sup> ჯაფარიძე, ქ. „მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები“ (სადისერტაციო ნაშრომი), 2015, გვ. 76

<sup>58</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 2019 წლის მაისი მდგომარეობით, თბ. 2019

<sup>59</sup> იხ. Нечаева А. М., Ершова Н. М., Социальное значение правового регулирования брачносемейных отношений, В кн.: Гражданско-правовое положение личности в СССР, «Наука», М., 1975, 327

სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, შემდგომში სამოქალაქო უფლება-მოვალეობების განხორციელება მას შეუძლია მხოლოდ საკუთარი სახელის გამოყენებით.

კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ მე-7 მუხლი განამტკიცებს, ბავშვის უფლებას, დაბადებისთანავე დარეგისტრირდეს ასევე უფლებას დაბადების მომენტიდან ჰქონდეს სახელისა და მოქალაქეობის მოპოვების უფლებას, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლება, იცნობდეს თავის მშობლებს, და მათი მხრიდან ზრუნვის უფლება. სახელის უფლება, აბსოლუტური შინაარსის უფლებაა, იგი უნდა განვასხვაოთ მშობლების უფლებებისაგან, შეურჩიონ თავიანთ შვილს სახელი. ბავშვს დაბადებისთანავე აქვს უფლება ჰქონდეს სახელი, სახელს მშობლები ურთიერთშეთანხმებით არჩევენ. რაც შეეხება ახალშობილის გვარს, იგი მშობლების გვარის მიხედვით განისაზღვრება, და მათი შეთანხმებით, ჩვენს რეალობაში დაქორწინებული მშობლები, როგორც წესი არჩევენ ბავშვისათვის მამის გვარს, თუმცა შესაძლოა პიროვნებამ თავადა გადაიკეთოს სრულწლოვნობისას იგი და თავისი სურვილისამებრ აირჩიოს დედის გვარის ტარება სურს თუ მამისა. აღსანიშნავია, რომ არცერთ მშობელს არ ენიჭება უპირატესობა ბავშვის გვარის არჩევისას. მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესების მაქსიმალური დაცვა. შვილების გვარის გამოცვლის საკითხი შეიძლება დადგეს ასევე მათი მშობლების მიერ გვარის გამოცვლის დროსაც. გვარის შეცვლასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კანონმდებლობის არასრულყოფილებაზე მიუთითებენ ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც „მშობლებს, რომლებთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტისა ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვთ, შვილის ინტერესის შესაბამისად, მიმართონ სასამართლოს შვილისათვის თავიანთი გვარის მიკუთვნების შესახებ არღვევს ცალკე მცხოვრები მშობლების პირად უფლებებს და ამავე დროს, ეწინააღმდეგება სსკ-ის 1198-ე, 1199-ე, 1202-ე მუხლებს, რომელთა თანახმადაც,

მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, შვილების მიმართ თანაბარი უფლებები და მოვალეობები აკისრია.<sup>60</sup>

### 3.2. მშობლების მიერ ბავშვის აღზრდის უფლება-მოვალეობა.

ბავშვის მამობასა და დედობაზე დამყარებული ურთიერთობა მრავალგვარია. აღნიშნულ ურთიერთობაში ძირითადია მშობლების უფლება-მოვალეობა შვილების აღზრდაში. „შვილების აღზრდა მშობლებისაგან დიდ ენერჯიას, ყურადღებას და პატივისცემას მოითხოვს. ბავშვი თავშესაქცევი საგანი არ არის. მის აღზრდას მუდმივი ზრუნვა და ყურადღება ესაჭიროება. იგი მომავალი მოქალაქეა, ამიტომ მშობლები პასუხს აგებენ მის სწორად აღზრდაზე. აღზრდის დროს არ შეიძლება წვრილმანი და ნეიტრალური მოვლენები არსებობდეს. აღზრდას მშობელთა უდიდესი პასუხისმგებლობა ახლავს.<sup>61</sup> ბავში ეკუთვნის არამარტო მშობელს არამედ მთელ საზოგადოებას, სახელწიფოს. ამიტომ ბავშვის აღზრდა განიხილება, როგორც დიდმნიშვნელოვნად სახელმწიფოებრივი საქმე და მიიჩნევა არამხოლოდ მორალურ არამედ სამართლებრივ მხარდაც. ზოგიერთი ავტორის აზრით, „ბავშვებზე ზრუნვა იმდენად დიდი სამუშაოა, რომ ბევრ ოჯახში მზრუნველისათვის ეს სამუშაო სერიოზული დაბრკოლებაა ნორმალური შემოსავლის მიღებისა და საარსებო სახსრების შოვნის მხრივ.<sup>62</sup> თანაბარი და განცალკევებული ვალდებულება შვილების მოვლაზე. თითოეული მშობელი თანაბრად უნდა იყოს პასუხისმგებელი შვილის მოვლაზე. ამასთან დაკავშირებით, არსებობს საინტერესო მოსაზრება, რომ „ეს ვალდებულება შეიძლება სხვებს გადაეცეს, თუნდაც მეორე მშობელს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის ანაზღაურება მოხდება შრომითი ხელშეკრულებით, ან ვალდებულებითი სამართლის შესაბამისი ნორმებით“.<sup>63</sup> ევროპულმა სასამართლომ (*Johansen v. Norway*) აღნიშნა, რომ „ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს

<sup>60</sup> შოშიაშვილი, ნ. საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, სამართალი #4, 2002, 15.

<sup>61</sup> ჯორბენაძე, ს. „საბჭოთა საოჯახო სამართალი“, თსუ-ს გამოცემლობა, თ., 1957, გვ.271

<sup>62</sup> Braekhus H., Regulation of Parenthood – Deregulation of Marriage, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 569

<sup>63</sup> იქვე, 571.

შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით.<sup>64</sup> საკასაციო პალატა ერთგან განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასაწევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი.

საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული მშობლებს შორის, ხოლო მნიშვნელოვნად მიიჩნევა ის საკითხები, რომელთაც „განგრძობადი ხასიათი აქვთ, ანუ გადაწყვეტილება, რომელიც დიდი ხნით შეეხება ბავშვს“.<sup>65</sup> უნდა აღვნიშნოთ, რომ არაერთი ქვეყნის კანონმდებლობაში გათვალისწინებულია წესები „მშობელთა უფლებების, „მშობელთა ავტორიტეტის შესახებ“.<sup>66</sup> ჩეხეთში ბავშვის მიმართ მშობელთა უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა ატარებს „მშობლის პასუხისმგებლობის („rodicovska zodpovednost“), და არა „მშობლის უფლების („rodicovska moc“) სახელწოდებას; უნგრეთის ქორწინების, ოჯახისა და მეურვეობის შესახებ კანონში მოცემულია ზოგადი ნორმა ბავშვების ვალდებულებათა შესახებ, რაც ბავშვებს ავალდებულებს, თავი შეიკავონ ჯანმრთელობაზე მავნე გავლენის მქონე ცხოვრების წესისაგან, ითანამშრომლონ მშობლებთან აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებულ

<sup>64</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *Johansen v. Norway*

<sup>65</sup> Stanik G. K., Important Issues Concerning a child: Decision Making, konferenciis masalebis krebulSi: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 23.

<sup>66</sup> იხ. Зенин И. А., Гражданское и торговое право капиталических стран, «Изд-во Моск. Ун-та.», М., 1992, 184.

საკითხებზე.<sup>67</sup> ბავშვის აღზრდისას მშობლების მხრიდან პრეტენზიების განცხადება რაიმე მოვალეობაზე შვილების მიმართ, შესაძლებელია საფუძველს მოკლებული იყოს. რადგან ამ შემთხვევაში არ არსებობს, სამართლებრივი ურთიერთობები შვილების მხრიდან მოვალეობების სახით. ბავშვის უფლებათა კონვენცია უთითებს მხოლოდ ბავშვის უფლებებზე, და არა მათ მოვალეობებზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლი დასჯად ქმედებად მიიჩნევს არასრულწლოვნის დაყოლიებას მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე. აქ საქმე გვაქვს როგორც სისხლის სამართლის, ასევე საოჯახო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთდროულად, ვინაიდან ამ შემთხვევაში მშობელს, სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლის თანახმად, ჩამოერთმევა მშობლის უფლებაც. უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ განჩინებაში (საქმე №ა-5291-შ-131-2018 ) განმარტავს, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198.3 და 1205-ე მუხლები, რომელთა თანახმადაც, მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა. მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლისერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად. მეურვეობა ან მზრუნველობა დგინდება იმ ბავშვის მიმართ, რომლის ორივე მშობელს შეეზღუდა მშობლის უფლება ან მოვალეობა ამ კოდექსის შესაბამისად. რამდენადაც ეს შესაძლებელია, მშობელს უნარჩუნდება ბავშვის რჩენის ვალდებულება, როცა მშობლის უფლება შეზღუდულია, ამ კოდექსით გათვალისწინებული საალიმენტო მოვალეობების შესაბამისად”.<sup>68</sup> სისხლის სამართლის 171-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში კი მითითებულია, რომ „დანაშაულად ითვლება აგრეთვე არასრულწლოვნის ჩაბმა

<sup>67</sup> იხ. Залесский В. В., Семейное право Российской Федерации и иностранных государств, «Юринформцентр», М., 2005, 222, 223

<sup>68</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება №ა-5291-შ-131-2018

გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში, ან მათი ჩაბმა პროსტიტუციაში.<sup>69</sup>

საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ ცალსახად მიმემართება იქითკენ, რომ შეიქმნას ჯანსაღი გარემო ბავშვთა უფლებების კუთხით, ამისათვის მთელი რიგი ღონისძიებები ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ორგანოებსა და თუ დაწესებულებებში, როგორც კერძო ასევე საჯარო სივრცეში და მით უფრო სასამართლოში, აღნიშნული კანონის 94-ე მუხლის მიხედვით, ბავშვის უფლებათა საკითხებზე საერთო სასამართლოები უზრუნველყოფენ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოების განხორციელებას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპების გათვალისწინებით, რომელიც აღიარებულია ბავშვის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით. საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსის 72-ე მუხლის მიხედვით ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალმა უნდა მიიღოს აუცილებელი ინტერდისციპლინური მომზადება ბავშვის უფლებების, სხვადასხვა ასაკობრივი საჭიროებების და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ. მათი გადამზადება უნდა მოხდეს აგრეთვე ნებისმიერი ასაკის და განვითარების ბავშვთან კომუნიკაციის მეთოდებზე, განსაკუთრებით, სოციალური საფრთხის ქვეშ მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით. სწორედ ამ მოტივით, ტარდება არაერთი შეხვედრა აღნიშნულ საკითხზე, ხდება გადამზადება საჯარო მოხელეებისა და კერძო სფეროში მომუშავე ადამიანებისა, რომ შეძლონ სენსიტურ საკითხს სამართლებრივად სწორად მიუდგნენ და მოწყვლადი კატეგორიის უფლებები განუხრელად დაიცვან. სწორედ ამიტომ, შესაბამისი ორგანიზაციები ატარებენ, ტრენინგებს, კონფერენციებს, საჯარო ლექციებს, რომ რაც შეიძლება სამართლებრივად მომზადებულები შეხვდნენ მათ წინაშე არსებულ მდგომარეობას, მით უფრო მიემართება აღნიშნული, მოსამართლეებს. სულ ახლახანს თბილისის სააპელაციო სასამართლომ (ჭერ კიდეც არ არის დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადებული, რომ საჯარო ინფორმაციის სახით გამომეთხოვა სასამართლოდან) მიიღო პრეცედენტული

<sup>69</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2018 წლის მდგომარეობით, „ბონა კაუზა“ თბ., 2018



გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთი მშობლის მიერ ბავშვებთან მეორე მშობლის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება ფსიქოლოგიურ ძალადობად აღიარა. შესაბამისად გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და ძალაში დატოვა შსს-ის გამომძიებლის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერები მშობლების ვალდებულება აღზარდონ ბავშვები ცალსახაა, თუმცა სახელმწიფოს ვალდებულება შექმნას ბავშვზე მორგებული სოციალური გარემო და იზრუნოს მათი უფლებების დაცვაზე უდაოდ უმნიშვნელოვანესია, რადგან სწორედ ის არის ვალდებული შექმნას გარე მექანიზმი, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო მათი უფლებებისათვის. „2016 წელს სოციალური მომსახურების სააგენტომ რეაგირება მოახდინა 755 ძალადობის შემთხვევაზე, ხოლო 2017 წლის 8 თვის განმავლობაში – 546 შემთხვევაზე. ასევე, 2016 წელს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია“.<sup>70</sup> 2015 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნების შესრულების კვალდაკვალ, დაიწო და კვლავაც მიმდინარეობს პოლიციელთა და გამომძიებელთა სპეციალიზაციის სასწავლო პროგრამა. 2016 წლის მდგომარეობით გადამზადდა 407, ხოლო 2017 წლის მონაცემებით, 318 მსმენელი. უპირველესი ამოცანა დღის წესრიგში დადგა ბავშვის ძალადობისგან დაცვის უზრუნველყოფა, რა მიზნითაც განისაზღვრა პროფესიული ჯგუფების განათლება ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე, რომელიც უნდა გაზომილიყო ბავშვის უფლებების საკითხებზე გადამზადებული პროფესიონალების რაოდენობით. კერძოდ, უნდა მომხდარიყო მოსამართლეების, პროკურორების, პოლიციელების, გამომძიებლების, მასწავლებლების, ადვოკატების, სამედიცინო პერსონალის, სოციალური აგენტების, სკოლის ადმინისტრაციის, მანდატურისა და სხვათა გადამზადება. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულის შესაბამისად სამოქმედო გეგმის საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე

<sup>70</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში (2016-2017 წწ.) გვ.95

გადამზადდა 169 მოსამართლე, ბავშვის უფლებების თემაზე – 22 ოჯახში ძალადობის თემაზე კი 9 მოსამართლე. 2016-2017 წლებში ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრმა ჩაატარა 20 ტრენინგი და მასში მონაწილეობა მიიღო სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 50-მა ადვოკატმა.<sup>71</sup>

აღნიშნული საკითხი, რომ შევაჯამოთ უმიშვნელოვანესია, ავღნიშნოთ, რომ უპირველესად მშობლის ვალდებულებაა ბავშვის აღზრდა. ამ პროცესში მშობლებს თანაბარი უფლება გააჩნიათ. ფსიქოლოგების მოსაზრებით, მშობლების პირად მაგალითსა და ქცევას, უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ბავშვისათვის. აღზრდის პროცესს თან ახლავს უდიდესი მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა. უმთავრესია, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა ემყარებოდეს პატივისცემას, ურთიერთსიყვარულსა და ერთმანეთის აზრის გათალისწინებას. მაგალითისთვის ავიღოთ საბაზო განათლება, რომლის დროსაც მშობელი არათუ უფლებამოსილია მისცეს განათლება ბავშვს, არამედ იგი ვალდებულია სკოლაში მიიყვანოს შვილი და არ შეუზღუდოს უფლება მიიღოს განათლება, ამაში სახელმწიფო დიდმნიშვნელოვნად ერევა და უზღუდავს მშობელს ნებას, მან გადაწყვიტოს მიიყვანოს თუ არა სკოლაში ბავშვი, აქ შესაძლებელია, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის საქმეში ჩერთოს ბებია-პაპა, როდესაც მშობელი უარყოფითად მოქმედებს ბავშვის აღზრდასა და მომავალზე. ხშირია შემთხვევები პრაქტიკაში, როდესაც პაპა ბებუის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის გზით, მომხდარა ბავშვის სკოლაში მიყვანა, რადგან მშობელს მიაჩნდა, რომ სკოლაში ბავშვის ყოფნა, უარყოფით შედეგებს გამოიწვევდა მისთვის. არც ისე იშვიათია მოვლენების მძაფრი და არაჯანსაღი აღქმა სამყაროში, სწორედ ამიტომაც არსებობს კანონი, სასამართლო და არმასრულებელი ხელისუფლება, რომ არ მოხდეს მხოლოდ ერთ ინდივიდზე მორგებული მდგომარეობის გაბატონება, თუნდაც ოჯახში, როდესაც რომელიმე მშობელი დომინანტ როლს ითვისებს, და ეს ყოველივე ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას სულაც არ ემსახურება.

---

<sup>71</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში (2016-2017 წწ.) გვ.95

### 3.3. ბავშვის ინტერესების დაცვა წარმომადგენლობის მეშვეობით.

„თანამედროვე საკანონმდებლო სისტემები აღიარებს მშობლებს მთავარ და ბუნებრივ მზრუნველებად და ბავშვების კეთილდღეობის დამცველებად.<sup>72</sup> ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „მშობლები წარმომადგენლობით უფლებამოსილებას იმავე მოცულობით ფლობენ, როგორც მზრუნველები და მეურვეები“.<sup>73</sup> მშობლების უფლება - მოვალეობანი შვილების მიმართ სპეციფიკურობით გამოირჩევა, ვინაიდან ეკუთვნით მშობლებს მხოლოდ შვილების სრულწლოვანებამდე. სრულწლოვანების შემდეგ და ზოგჯერ მანამდეც (ემანსიპაციის შემთხვევაში) ეს სამართლებრივი ურთიერთობა წყდება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „ის შემთხვევა, როცა სრულწლოვანი შვილი ქმედუუნაროა და მშობელი ახორციელებს მეურვის ფუნქციას, არ ნიშნავს მშობლის სამართლებრივი მიმართების გაგრძელებას, ვინაიდან მეურვისა და მეურვეობაში მყოფი სრულწლოვნის ურთიერთობის სამართლებრივი შემადგენლობა არ უთანაბრდება მშობლის სამართლებრივ ურთიერთობას შვილის მიმართ, რომელიც არსებობს სრულწლოვანების მიღწევამდე“.<sup>74</sup> კანონის თანახმად, მშობლებმა სრულწლოვანების მიღწევამდე და მის შემდეგაც, ქმედუუნარობის შემთხვევაში, უნდა დაიცვან ბავშვების უფლებები და ინტერესები, რადგან ისინი არ არიან სრულად ქმედუუნარიანნი და არ შეუძლიათ საკუთარი უფლებების განხორციელება და დაცვა. მშობლებს კანონისმიერი წარმომადგენლობითი უფლება აქვთ, მხოლოდ თავიანთ არასრულწლოვან შვილებთან მიმართებით. სრულწლოვანი ქმედუუნარო პირი, მისი ქმედუუნარიანობის ხარისხიდან გამომდინარე, სამოქალაქო კანონმდებლობაში 2015 წლის პირველ აპრილს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, შესაძლოა ცნობილ იქნეს ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირად (მხარდაჭერის მიმღები). შესაბამისად, ასეთი პირი მხარდაჭერას იღებს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მისი გონებრივი

<sup>72</sup> *Harding M.*, (Ireland, Senior Lecturer, University of Portsmouth), *A Softening of the Marital Family Paradigm?*, ნაშრომთა კრებულში: *The International Survey of Family Law*, (Atkin B., Banda F. (ed.)), Jordan Publishing Limited, Great Britain, Bristol, 2012, 167

<sup>73</sup> *Фадеева Т.А.*, *Личные права и обязанности граждан в семейных отношениях*, «Правоведение», 1988, №2, 64.

<sup>74</sup> *Советское семейное право/Под ред. Рясенцева В.А.*, «Наука», М., 1982, 154.

შესაძლებლობიდან გამომდინარე.<sup>75</sup> მხარდაჭერის მიმღები პირი ითვლება ქმედუნარიან პირად, რომელსაც ფსიქოსოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე შეიძლება სასამართლოს მიერ დაენიშნოს მხარდამჭერი, ანუ პირი, რომელიც მას დაეხმარება საკუთარი უფლებების რეალიზებასა და ინტერესების დაცვაში. ამ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „თავად გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირებს შორის არის არსებითი განსხვავება. მაგალითად, მაღალი ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობის ან განგრძობადი შიზოფრენიის შემთხვევაში შესაძლებელია, ადამიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას სრულად იყოს მოკლებული. სადავო ნორმები არ ითვალისწინებს ამგვარ განსხვავებას და გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის ნებისმიერი ხარისხის მქონე პირს, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების გარეშე, სრულად ართმევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას”.<sup>76</sup> ადამიანისთვის ქმედუნარიანობის ჩამორთმევას უარყოფს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 2013 წლის 26 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2014 წლის 12 აპრილს, კონვენციის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია: „წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ქმედუნარიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ზომა ითვალისწინებდეს შესაბამის ეფექტურ გარანტიებს მათი ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. ეს გარანტიები უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ქმედუნარიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ზომები აღიარებს პირის უფლებებს, ნებას

<sup>75</sup> 2014 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად ცნო ფსიქიური დაავადებების გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები.

<sup>76</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, # 2-4-532,533, ქ. ბათუმი, 8 ოქტომბერი, 2014.

და არჩევანს, თავისუფალია ინტერესთა კონფლიქტისა და არასათანადო გავლენისგან, შეესაბამება პირის მდგომარეობას, მიიღება შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში და რეგულარულად გადაისინჯება კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ. ეს გარანტიები უნდა იყოს პირის უფლებებისა და ინტერესების ხელმყოფი ზომების პროპორციული”.<sup>77</sup> საინტერესოა საკითხი მემკვიდრის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით, რომელიც სამკვიდროს იღებს კანონიერი წარმომადგენლის დახმარებით. ქმედუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები სამკვიდროს იღებენ მათი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით (სსკის 1422-ე, 1423-ე მუხლები), მემკვიდრის თანხმობა სამკვიდროს მიღებაზე გამოხატული უნდა იყოს შეგნებულად და თავისუფლად, რაიმე გავლენის, სახელდობრ, მუქარის ან იძულების გარეშე.<sup>78</sup> „წარმომადგენლობა გულისხმობს წარმოდგენილი პირის წარმომადგენლით ჩანაცვლებას იურიდიული ქმედების განხორციელების პროცესში. წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები, თავისთავად, არ მიიჩნევა ქონებრივ ურთიერთობად, მაგრამ წარმომადგენლობის მეშვეობით მყარდება როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი სამართლებრივი კავშირები. ამასთან, წარმომადგენლობა ქონებრივ ხასიათს არ იძენს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უფლებამოსილება პირს მინიჭებული აქვს ქონებრივი უფლებების ან მოვალეობების განსახორციელებლად”.<sup>79</sup> მშობლების მიერ შვილების წარმომადგენლობა არ საჭიროებს განსაკუთრებულ დელეგირებას. ამ შემთხვევაში უფლებამოსილება წარმოიშობა ერთი და იმავე იურიდიული ფაქტის საფუძველზე, წარმომადგენლობითი მოვალეობების შემცველ სამართლებრივ ურთიერთობასთან ერთად. წარმომადგენელი, რომელიც წარმოდგენილი პირის

<sup>77</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, <<http://disability.ge/images/stories/pdfs/konvencia.doc.pdf>>, [08.05.2015]

<sup>78</sup> იხ. კობრიძე ლ., ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, მართლმსაჯულება და კანონი, #2 (41) 2014, 28.

<sup>79</sup> *Фадеева Т.А.*, Личные права и обязанности граждан в семейных отношениях, «Правоведение», 1988, №2, 63

სახელით მოქმედებს, გამოხატავს საკუთარ ნებას. „წარმომადგენლობის სუბიექტური შემადგენლობა მოიცავს წარმომადგენელს, წარმოდგენილ პირს და მესამე პირს. წარმოდგენილი პირის (პიროვნება, რომლის სახელითაც მოქმედებს წარმომადგენელი) სახით შეიძლება გამოვიდეს სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი სუბიექტი, მათ შორის ბავშვიც.<sup>80</sup> პრაქტიკაში შესაძლებელია, უთანხმოება მშობლებს შორის გაჩნდეს ბავშვის სხვადასხვა ინტერესის გამო, ანუ მამა და დედა სხვადასხვაგვარად ფიქრობდნენ ბავშვთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას. თუ მშობლები ვერ თანხმდებიან იმას თუ კონკრეტულ შემთხვევა რა იქნება უმჯობესი ბავშვის ინტერესებისათვის ისინი სასამართლოში, დავის შემთხვევაში ვერ იქნებიან წარმომადგენლები, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ვერავინ ვერ იტყვის, რა უფრო შეესაბამება ბავშვის ინტერესებს. ამ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. (სსკ-ის 1200-ე მუხლი). ამგვარი წესი ვრცელდება ბავშვის აღზრდის საკითხებზე შეუთანხმებლობის ყველა შემთხვევაში.<sup>81</sup> გერმანული სამოქალაქო სამართალი, მსგავსად საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა, სამ ასაკობრივ ჯგუფს გამოყოფს: შვიდ წლამდე ასაკის პირები ქმედუნარონი არიან, შვიდიდან თვრამეტ წლამდე – შეზღუდულქმედუნარიანნი, ხოლო თვრამეტი წლიდან – სრული ქმედუნარიანები.<sup>82</sup> არასრულწლოვანთა ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები – მშობლები, რომლებსაც უფლება აქვთ, მათი სახელით განახორციელონ ყველა საპროცესო მოქმედება. ზოგიერთ შემთხვევაში, მამობის დადგენის შესახებ სარჩელთან დაკავშირებით, მოპასუხედ საქმეში შეიძლება ჩაბმულ იქნეს არასრულწლოვანი პირი, და სასამართლომ არ შეიძლება უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ზემოაღნიშნული საფუძვლით. 14\_18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირები შეზღუდული საპროცესო

<sup>80</sup> *Фадеева Т.А.*, Личные права и обязанности граждан в семейных отношениях, «Правоведение», 1988, №2, 64..

<sup>81</sup> ჯაფარიძე ქ. „მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები“, სადისერტაციო ნაშრომი, 2015, გვ.130

<sup>82</sup> იხ. ჭანტურია ლ. „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“, რედ.: ჯორბენაძე ს., სამართალი, თბ., 2000, 156.

უფლებათარსებით სარგებლობენ. ამგვარი სარჩელების განხილვისას პროცესში უნდა ჩაერთონ არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლები – მშობლები. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი მოპასუხის ნაცვლად ყველა საპროცესო მოქმედებას ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მშობლები, მათი არარსებობის შემთხვევაში – მეურვე/მზრუნველი). ამასთან, 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის მონაწილეობა პროცესში შეიძლება საჭირო გახდეს საქმის არსებითად განხილვის დროს განმარტების მიცემის მიზნით. ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 14-იდან 18 წლის ასაკამდე არასრულწლოვნებს ნაწილობრივ ქმედუნარიანებად მიიჩნევდა. ნაწილობრივი ქმედუნარიანობის ინსტიტუტს ახალი სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს.<sup>83</sup> ვინაიდან, კანონის მითითებით, არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა ეკისრებათ მშობლებს, ისინი განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე იცავენ მათ უფლებებს სასამართლოში. ორივე მშობელს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ ბავშვის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, იმყოფებიან თუ არა ისინი ოფიციალურ ქორწინებაში. არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლების ფუნქციას მშობლები ასრულებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გაცემული სპეციალური დანიშნულების გარეშე, მხოლოდ ნათესაობის ფაქტის დადასტურების საფუძველზე. ამით ისინი განსხვავდებიან მეურვეებისა და მზრუნველებისაგან, რომლებსაც ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.<sup>84</sup> საქართველოს კანონი „ბავშვთა უფლებების შესახებ“ ადგენს ბავშვის უფლებას წარმომადგენლობაზე, აღნიშნული კანონის შესაბამისად ბავშვს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში უშუალოდ ან/და მისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც შესაძლოა იყოს მისი კანონიერი წარმომადგენელი ან სხვა მის მიერ არჩეული საპროცესო წარმომადგენელი. ხოლო, აღნიშნული კანონის მეორე

<sup>83</sup> ჭანტურია ლ. „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“, რედ.: ჯორბენაძე ს., სამართალი, თბ., 2000, 155.

<sup>84</sup> ჯაფარიძე ე. „მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები“, სადისერტაციო ნაშრომი, 2015, გვ.131

მუხლის მიხედვით, ბავშვის წარმომადგენლის შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მშობლები, ოჯახის წევრები ან ალტერნატიული ზრუნვის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები სავარაუდო მოძალადეები არიან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პირადი არაქონებრივი ურთიერთობები მშობლებსა და შვილებს შორის მნიშვნელოვანია და ყოველი დეტალი დარეგულირებას საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული მშობლის მიერ უფლებამოსილების გადამეტება ბავშვის ინტერესის გათვალისწინებითა და სათანადო დონეზე დაცვით, ამასთან, არ შეიძლება დაირღვეს ბავშვის ორივე მშობელთან მინიმალურზე მეტი კონტაქტის შესაძლებლობა.<sup>85</sup>

---

<sup>85</sup> ჯაფარიძე ე. „მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები“, სადისერტაციო ნაშრომი, 2015, გვ.142



## დასკვნა

ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და უფლებების დაცვის მიმართულებით განსაზღვრული საქმიანობები მეტ - ნაკლებად აისახა ბოლო წლებში ქვეყანაში მოქმედი ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმებში. თუმცა, საგულისხმოა, რომ ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნულის დაცვის მიმართულებით დასახული ამოცანები სრულად არ მოიცავს ყველა იმ პრობლემას, რომელიც მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ბავშვის უფლებების დაცვის, პრაქტიკაში სრულად და ეფექტიანად განხორციელებაში. უმნიშვნელოვანესი საკითხია თავად ბავშვის ინფორმირების გაზრდა უფლებებსა და ვალდებულებებზე, რომელიც მიემართება თავად მას. ბავშვის უფლებები იმდენად კომბინირებული საკითხია, რომ მის რელიზებასა და დაცვაში აუცილებელია ჩართული იყოს ხელისუფლების სამივე შტო, როგორც საკანონდებლო, აღმასრულებელი ასევე სასამართლო.

საგულისხმოა, რომ საოჯახო სამართლის იმ ნაწილში, რომელიც ეხება შვილებისა და მშობლების სამართლებრივ ურთიერთობებს, არსებობს ნორმატიულ დონეზე ხარვეზები, რაც გამოიხატება ნორმის ზოგად შინაარსში, ვფიქრობ უმჯობესი იქნება გერმანიის ნორმატიული ბაზის მსგავსად მეტ-ნაკლებად დეტალიზებული იყოს აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი ნორმები. რამდენადაც საქმე ეხება, მოწყვლად კატეგორიას, სწორედ ამ საკითხის ფარგლებში კონკრეტიზაცია და თითოეული ნორმის განჭვრეტადობა მეტად მნიშვნელოვანია. აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედების ფარგლებში, არ იქნება ურიგო თუ ყურადღებას გავამახვილებთ მეტ დაცვით ფუნქციაზე, რომელიც უშუალოდ უნდა მიემართებოდეს ბავშთა უფლებათა დაცვის იდეას. თითოეული მოხელე თუ მუშაკი, რომელსაც ევალება ჩართული იყოს ბავშთა საკითხის გადაწყვეტაში, აუცილებელია, რომ უფრო მეტი კომპეტენტურობა, განსწავლულობა და პროფესიონალიზმი გამოავლინონ საკითხის შესწავლისას და მაქსიმალურად შეგნებული ჰქონდეთ საკითხის სენსიტიურობა. არამცდაარამც, არ უნდა იყოს ადამიანური რესურსების ნაკლებობა.

საგულისხმოა ასევე ისიც, რომ უმნიშვნელოვანესი როლი აქვს, პრობლემის წამოჭრის დღიდან მის სრულ აღმოფხვრამდე ბავშვისა და ფსიქოლოგის/ სოც. მუშაკის ინტენსიურ მუშობას, რათა პრობლემის გადაჭრა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ მოხდეს არასრულწოვანთან მიმართებით. აღნიშნულ თემაზე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსამართლეების დატრენინგების საკითხი, რომელიც უკვე დაიწყო და წარატებით გრძელდება, რასაც მხოლოდ უნდა მივესალმოთ. თუმცა ეს არ არის საკმარისი, უფრო მეტი ჩართულობა სასამართლოების მხრიდან საკითხის სიღრმისეულად შესწავლაში, ტრენინგები, კონფერენციები, რომელიც საშუალებას მოგვცემს მეტად დავინახოთ არსებული ხარვეზები და საკანონმდებლო დონემდე შეიცვალოს თითოეული დეტალი. სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მრავლადაა მოხმობილი თემაში, ცხადყოფს ცვლილებების არსებობის აუცილებლობაზე. სასამართლო პრაქტიკების მაგალითზე არსებული პრობლემები ცხადყოფს, რომ ბავშვთა საკითხის მიმართ აღმასრულებელი ხელისუფლების მიდგომები სენსიტიური უნდა იყოს. უმნიშვნელოვანესი თემაა შემაკავებელი და დამცავი ორდერების მოქმედების ფარგლებში საქმეში ჩართული სოციალური მუშაკი. ვფიქრობ, რომ იგი უნდა იყოს ნეიტრალური აღნიშნული საკითხის მიმართ, მის დასკვნებში არამც და არამც არ შეიძლება გამოხატული იყოს, ცალსახა სუბიექტური მხარდაჭერა რომელიმე მშობლის მიმართ, რადგან ისინი ვალდებულნი არიან სასამართლოს მიაწოდონ ობიექტური შეფასება სიტუაციისა, რომლის გათვალისწინებითაც, ასევე სხვა მტკიცებულებებთან ერთიანობაში, სასამართლო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. პრაქტიკაში, ვფიქრობ პრობლემაა ეს საკითხი, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც სოც. მუშაკები, აშკარა სუბიექტური დამოკიდებულებით გაჯერებულები აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას პროცესზე, როდესაც შესაძლებელია მოსამართლე ვეღარ დაეყრდნოს გადაწყვეტილების მიღებისას მათ ჩვენებებს, როგორც მყარ და ობიექტურ მტკიცებულებას, რაც რა თქმა უნდა პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ მართლაც რთულია ადამიანური ემოციები გვერდით გადადო, ცივი და საღი გონებით მიუდგე აღნიშნულ საკითხს, მაგრამ სასამართლოს უნდა მიეწოდოს

ობიექტური ინფორმაცია და არა სუბიექტური დამოკიდებულება, რადგან გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს ეს უკანასკნელი მეტად დაეხმარება კანონიერი და სამართლიანი შეფასების გაკეთებაში. ბავშვთა უფლებების სფეროს ყველაზე მეტად გვჭირდება „მართალი“ სამართალი, რადგან საკითხი ეხება ძალზედ სენსიტიურ თემას.

ურიგო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების საკითხი, რომელიც შეავსებს და გააძლიერებს სამართლებრივ საფუძველზე ბავშვთა დაცვის და მართლმსაჯულებასთან წვდომის გარანტიებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის რეგულირების არსებულ სფეროებში, კერძოდ, გათვალისწინებული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა: ბავშვის უფლებათა ძირითადი პრინციპების უზრუნველყოფის ზოგადი საკანონმდებლო გარანტიები ყველა სფეროში, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითადი საკანონმდებლო გარანტიები და აღსრულების მექანიზმები, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვზე მორგებული პროცედურები, ძალადობისგან ბავშვთა დაცვის გარანტიები, სხვა.

კანონმდებლის ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ასევე უმნიშვნელოვანესი თემა, განქორწინებული მშობლების მიერ ბავშვთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხი, რადგან კანონის მხოლოდ ის ჩანაწერი, რომ თანაბარი უფლებები აქვთ მშობლებს ბავშვთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა რომ ისინი განქორწინებულები არიან და ცალ-ცალკე ცხოვრობენ არ არის საკმარისი სამართლებრივი მოცემულობა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხი გადაწყვეტისას. უმჯობესი იქნება მეტი კონკრეტიზაცია მიეცეს აღნიშნულს კანონმდებლობაში, რათა სასამართლოებს საკითხის გადაწყვეტისას ჰქონდეთ მყარი საკანონმდებლო ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც მარტივად მივლენ სამართლიან შედეგამდე. სულ ახლახანს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ძალაში დატოვა შემაკავებელი ორდერის მოქმედება და დაადგინა, რომ ერთი მშობლის მიერ, ბავშვის თანდასწრებით მეორე მშობლის აუგად

მოხსენიება წარმოადგენს ძალადობას ბავშვის მიმართ. სწორედ ასეთი, სენსიტიური, ბავშვის ინტერესების სიღრმისეულად გათვალისწინებული, გადაწყვეტილებები სჭირდება, დახვეწილი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას. ვფიქრობ, პრაქტიკული მაგალითები უმნიშვნელოვანესია, რომელიც ცალსახად მეტყველებს და მიაწინებს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების მიერ დაშვებულ ხარვეზებზე, რომელიც უნდა გამოსწორდეს, ასევე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის მითითება, თუ რომელი ნორმა, როგორ და რა ფორმულირებით უნდა ჩამოყალიბდეს, როდესაც საკითხი ეხება მშობლებს შორის არსებული პრობლემების პერიოდში ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას. პრეცედენტულ სამართალში განმარტებულია, რომ სახეზე უნდა იყოს მშობლისა და შვილის სოციალური ინტეგრაცია და შერჩევის ინტენსიური ხასიათი, რაც ამავდროულად ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს - იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში. ევროსასამართლომ არაერთგზის განმარტა, რომ „ოჯახური ცხოვრების“ უფლებით დაცულ სფეროს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვნის მშობლები იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში და კანონიერ მამას, თუნდაც ის არ იყოს ბიოლოგიური მშობელი აქვს ბავშვის მიმართ სოციალური ერთობის უფლება.

საბოლოოდ, ყოველწლიურად, უფრო მეტად აქტუალური ხდება მშობელთა ვალდებულებების განსაზღვრის საკითხი ბავშვთა უფლებათა დაცვის სფეროში. საოჯახო სამართლის ცალკეული მიმართულებები და ზოგადად საოჯახო სამართალი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საგრძნობლადაა განვითარებული და ახლებურად აღქმული მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში. სავარაუდოა, რომ ეს ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება. შესაბამისად, ქართულ საოჯახო სამართალშიც აუცილებელია გარკვეული ცვლილებების განხორციელება. დახვეწილი ნორმატიული ბაზის არსებობა უპირობოდ წინადადებული ნაბიჯი იქნება სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის. როგორც ნათქვამია, თეორია პრაქტიკის გარეშე მკვდარია, თუმცა თეორია პრაქტიკას გზას უნათებს. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, ჯერ თეორიულ, ნორმატიულ

დონეზე უნდა იყოს რეგლამენტირებული რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რათა ისინი, საბოლოო ჯამში, პრაქტიკოსი იურისტების მიერ სწორად იქნეს გამოყენებული. აქვე აღსანიშნავია, ბოლო წლების განმავლობაში საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროს აღქმის სამართლებრივი კულტურის ამაღლების ტენდენცია, იგულისხმება ამ თემატიკასთან მიმართებით ნორმის ადრესატთა ახლებური მსოფლმხედველობა, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო მართლმსაჯულების ორგანოსაც მიეღო პროფესიონალიზმის სტანდარტისა და საზოგადოებისთვის მისაღები, კანონიერ, მეტიც, მორალურ ნორმებთან შესაბამისი გადაწყვეტილებები. ბავშვთა უფლებების მარეგლამენტირებელი ნორმების, გრამატიკული, თელეოლოგიური თუ სისტემური განმარტების მეთოდები, ალტერნატიულად თუ კუმულატიურად, ცხადყოფენ კანონმდებლის ნებას სამართლის ძალიან სენსიტურ მიმართულებაში, როგორცაა წარმოადგენს საოჯახო სამართალი განამტკიცოს კონკრეტული, ძირეული მიზნით დეტერმინებული დანაწესები, რომელთაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ე.წ. ზეიმპერატიული ნორმებიც.

საბოლოო ჯამში, საოჯახო სამართალი, მისი არსიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე წარმოადგენს სამართლის იმ მიმართულებას, რომელის მარეგლამენტირებელ ნორმებს ყველა სხვა შემთხვევაზე მეტად მოეთხოვება გააჩნდეს ძალიან მკაფიო და ნათელი ლეგიტიმური მიზნები, ეს არის სფერო, სადაც, რამდენადაც, ეს შესაძლებელია, კორელაციაში უნდა იყოს „კანონიერი“ და „სამართლიანი“ სამართალი. სასიხარულოა ხელისუფლების სამივე შტოში არსებული მიდგომა, რომელიც განჭვრეტადს ხდის ამ საკითხთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკას, თუმცა, ფაქტია, რომ დასახვეწია, როგორც საკანონმდებლო ბაზა, ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლების მიდგომები. ამ ერთმანეთთან პირდაპირპროპორციულ კავშირში მყოფ მოცემულობათა გაუმჯობესება კი დადებით გავლენას იქონიებს სამართალწარმოების სტატისტიკაზე, როგორც შემცირებული დავების, ასევე, სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილებების მართებულობისა და დასაბუთებულობის თვალსაზრისით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია, რ. საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბ.2017წ.
2. ჯორბენაძე, ს. საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., 1957წ.
3. ნადარეიშვილი, გ. რომის სამართალი.
4. ლობჯანიძე, გ. რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი, ქუთაისი 2009წ.
5. მეტრეველი, გ. რომის სამართლის საფუძვლები, თბ. 2013წ.
6. შენგელია, რ. შენგელია, ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ.2017
7. შენგელია, რ. შენგელია, ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ.2011  
(მეორე გადამუშავებული გამოცემა)
8. ნადარეიშვილი, გ. ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1974წ.
9. სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, თბ, 2000წ.
10. ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში (2016-2017 წწ.)
11. ჯაფარიძე, ქ. მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები (სადისერტაციო ნაშრომი) თბ. 2015წ.
12. შოშიაშვილი, ნ. საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, ქ. სამართალი #4, 2002წ.
13. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000წ.
14. მონტესკიე, შ. ლ. კანონთა გონი, 1994წ.
15. Малейна Н. М., Человек и Медицина в современно праве,
16. Столбов М.Г., Как увеличить размер алиментов, 2005.
17. Eekelaar J., Are Parents Morally Obligated to Care for Their Children, Oxford Journal of Legal
18. Protocol on the the Law Applicable to Maintenance Obligations, Concluded 23 November, 2007
19. Kurtz P. M., Scott E., „FAMILY LAW: CASES, TEXT, PROBLEMS” 2002
20. Yukon Department of Justice, Guide to Family Law. 2004

21. The law society of new south wales young lawyers, A Practitioner's Guide to Family Law. 2015

### **ნორმატიული მასალა**

1. „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენცია.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
4. ბავშვის უფლებათა კოდექსი (პროექტი).
5. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.
6. ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენცია „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც საქართველო შეუერთდა პარლამენტის 2014 წლის 5 თებერვლის #1953 II ს დადგენილებით.

### **სასამართლო გადაწყვეტილებები:**

1. სუს 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმეზე №ა-5291-შ-131-2018
2. სუს 10.11.2015 განჩინება საქმეზე #ას-937-887-2015
3. სუს გადაწყვეტილება საქმე №ა-5457-შ-135-2018, თბ.,2019
4. სუს გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე №ას-619-619-2018,
5. სუს გადაწყვეტილება, საქმეზე ას-204-191-2014 , თბ ., 20 ოქტომბერი, 2014
6. სუს გადაწყვეტილება, საქმე #Nას-58-49-2011, თბ., 27 ივნისი, 2011
7. სუს გადაწყვეტილება საქმეზე,№ას-967-916-2015 , თბ., 25 თებერვალი, 2016
8. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n88-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, # 2-4-532,533, ქ. ბათუმი, 8 ოქტომბერი, 2014

10. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №41615/07 **Neulinder and Shuruk v. Switzerland**
11. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 31.07.2000, გადაწყვეტილება საქმეზე № 25735/94 ელსჰოლცი *გერმანიის წინააღმდეგ* – **Elsholz v. Germany**.
12. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება (*საჩივარი № 27853/09*) საქმე **X ლატვის წინააღმდეგ**, 2013 წლის 26 სექტემბერი. <https://hudoc.echr.coe.int/GEO>
13. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება **CASE OF SCOZZARI AND GIUNTA v. ITALY** სტრასბურგი, 2000 წლის 13 ივლისი.
14. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Johansen v. Norway*. Judgment of 7 August 1996.

**გამოყენებული საიტები:**

1. [matcne.gov.ge](http://matcne.gov.ge)
2. [library.court.ge](http://library.court.ge)
3. [supremecourt.ge](http://supremecourt.ge)
4. [tbappeal.court.ge](http://tbappeal.court.ge)
5. [info.court.ge](http://info.court.ge)
6. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
7. <http://www.coe.int>
8. [www.myadvokat.ge](http://www.myadvokat.ge)
9. <https://uflebatadamcveli.wordpress.com>
10. <https://www.unicef.org/georgia/ka/>
11. [https://www.sl.nsw.gov.au/sites/default/files/family\\_law\\_handbook\\_1.pdf](https://www.sl.nsw.gov.au/sites/default/files/family_law_handbook_1.pdf)